# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 15 მაისი 2006 №108 (2730) ფასი 50 თეთრი


# ამერის ვერტ ფრენი



ოთხი წელი და 11 მეტრი უეფას თასამდე



## რისთვის? ფეხბურთისთვის!






## ჩასვლა და პირველი ადგილით ჩამოსვლა იყოს!

დღეს, გამთენიისას, საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები სლოვაკეთში გაფრინდა, საღამოსვე ბრატისლავაში იქნება და ხვალიდან ვარჯიშსაც დაიწყებს. შეგახსენებთ, ჰაინც ტოპმიოლერის განვრთნილები ევროპის ჩემპიონატის ელიტ-რაუნდში ოთხგუნდა ჯგუფში ითამაშებენ, სადაც მეტოქეებად თურქეთი, ჩრდილოეთ ირლანდია და მასპინძელი სლოვაკეთი ეყოლებათ და საიდანაც მხოლოდ გამარჯვებული გააღწევს ფინალურ ეტაპზე.

ჰაინც ტოპმიოლერმა სამიოდ დღის წინ დაასახელა 18-კაციანი შემადგენლობა. პირველ მატჩს კი ჩვენები 19 მაისს თურქეთთან გამართავენ.



## ჯასტინ გატლინმა მსოფლიო ააჩქარა



ნოდარ ახალკაცი და უეფაში საქართველოს კურატორი ჯოზეფ მიფსუდი



სფფ-ის პრესსამსახური

# ჩრდილში დარჩენილი ყრილობა

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციის მეთერთმეტე ყრილობა 13 მაისის სხვა მოვლენათა ჩრდილში მოექცა და როგორღაც შეუმჩნევლად ჩაიარა. ისე, დიდი აჟიოტაჟი არც იყო მოსალოდნელი, რადგან დამსწრე 57-მა დელეგატმა, რომელთაგან 32-ს ხმის უფლება ჰქონდა, ტრაფარეტული დღის წესრიგით იმუშავა და ყველა საკითხი შესაშური ერთსულოვნებით გაიარა:

1. სამანდატო კომისიამ ცნო სათათბირო და ხმის უფლების მქონე ყველა დელეგატის უფლებამოსილება.
2. დაამტკიცა მეათე ყრილობის ოქმი.
3. მოისმინა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცის მოხსენება საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ.
4. დაამტკიცა ფედერაციის აღმასკომის მუშაობის ანგარიში.
5. დაამტკიცა 2005 წლის ფინანსური შედეგები.
6. დაამტკიცა აუდიტის დასკვნა.
7. შეარჩია სფფ-ის დამოუკიდებელი აუდიტი და დასტური მისცა „ჯი-ეს-ეს“-თან ერთწლიანი ხელშეკრულების გაფორმებას.
8. დაამტკიცა 2006 წლის ბიუჯეტი.
9. ცნო ფედერაციის აღმასკომში ვაკანტურ ადგილებზე არჩეული გრიგოლ ცაავასა და გიორგი გაბაშვილის უფლებამოსილება.
10. დასტური მისცა ფეხბურთის ფედერაციის წესდების შესაბამისად, აღმასკომის წინადადებით, იურიდიული ორგანოების და სპეციალური დებულებების დელეგირებას ფედერაციის აღმასკომზე.
11. მიიღო ფეხბურთის ფედერაციის წევრებად ახალი სუბიექტები: სამცხე ჯავახეთის, აგრეთვე რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციები და საქართველოს .ეზოს ფეხბურთის ასოციაცია.
12. დაამტკიცა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული ცვლილებები ფეხბურთის ფედერაციის წესდებასა და დებულებებში.

ყრილობის მონოტონურ მუშაობაში დისონანსი ხმის უფლების მქონე დელეგატმა, უეფას მედია-ოფიცერმა მამუკა კვარაცხელიამ შეიტანა, რომელმაც რამდენჯერმე დააფიქსირა საკუთარი პოზიცია იმ პრობლემებთან მიმართებაში, დღეს ქართული ფეხბურთის წინაშე რომ დგას.

ლუკა თალაკვაძე

## საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა — პლეიოფი

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# გამწარებული შაქარი

## თბილისმა უმაღლესი მეორე ტაიმში დაიტკბო

ბოლნისი. 14 მაისი. 16 საათი. თამაზ სტეფანია. 800 (ტევადობა 4 000)

### თბილისი 4:1 მეშაქრე

0:1 ბაკარანძე (7), 1:1, 2:1 ბარაბაძე (25, 60), 3:1 სახვაძე (74), 4:1 ვ. კვარაცხელია (90)

| | |
|---|---|
| თბილისი: მ. ალავიძე, მიმინოშვილი (მ. ბურნაძე 65), გუშარაშვილი, მიქიაშვილი, ხოხონიშვილი, აფციაური, ბესარაშვილი, სახვაძე, ლ. კვარაცხელია (კაკაბაძე 78), რევაზ ბარაბაძე (ვ. კვარაცხელია 73), ხოჯავა<br>სათადარიგონი: თევდორაძე; მაჭავარიანი, ხუციშვილი, ზირაქიშვილი<br>მწვრთნელი: გოჩა ტყებუჩავა | მეშაქრე: დერევიაჩენკო, ვერემჩუკი, ლ. გოჩაშვილი, ლეკიშვილი, გ. ნოზაძე, გიგა ბურჯანაძე (კიკვაძე 53), მდივნიშვილი, ბაკარანძე, რატი ბარაბაძე, გიორგი ბურჯანაძე, ა. ფოფხაძე<br>სათადარიგონი: გელაშვილი; ბურჭულაძე, გოგაძე, ვიშნიაკოვი, ბერუაშვილი<br>მწვრთნელი: ზვიად მინაძე |

გაფრთხილება: რევაზ ბარაბაძე (43), ლ. კვარაცხელია (47), ხოჯავა (62), გუშარაშვილი (69), ბაკარანძე (72), ნოზაძე (77)

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; გ. ჩიგოგიძე, კ. გაბრიაძე; დ. ხარიტონაშვილი

დამკვირვებელი: ვ. ეჯიბია

ილია ნანობაშვილი ბოლნისიდან

**ორი** თვის წინ „თბილისი“ სულს ლაფავდა და ისეთ მდგომარეობაში იყო, უმაღლესი ლიგიდან გავარდნას აღარაფერი უკლდა. დროულმა ქირურგიულმა ჩარევამ, რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელის მოსვლამ და გიორგი დევდარიანის ნაცვლად გოჩა ტყებუჩავას გამწვრთნელებამ თბილისელებს სულზე მიუსწრო — ბოლო რვა ტურში ექვსჯერ მოიგეს და მეცამეტე ადგილმა პირველლიგელ აგარის „მეშაქრესთან“ გადათამაშებაში მოახვედრა.

თითქოს მარტივი, მაგრამ ძნელი ამოცანა: ვინც გუშინ ბოლნისში მოიგებდა, უმაღლეს ლიგაში რჩებოდა. ანგარიში მაინცდამაინც ნუ მოგატყუებთ — „თბილისი“ კლასით კი აღემატებოდა მეტოქეს, მაგრამ აგარელები ჯან-ღონით და საოცარი მონდომებით ანეიტრალებდნენ სიტუაციას და მე-60 წუთამდე ტოლ-სწორობას უბედავდნენ.

„თამაზ სტეფანიაზე“ აგარიდან ჩამოსულმა 300-მდე ქომაგმაც მოიყარა თავი, მათი ერთი ჯგუფი „თბილისის“ კარის უკანაც მოთავსდა და საშინელი ყიჟინით, თან ორსართულიანი ლანძღვა-გინებებით აზმაურებდნენ სტადიონს. „მეშაქრეს“ ქომაგები ორმა მომენტმა აღაშფოთა: 44-ე წუთზე „თბილისის“ ფორვარდი რევაზ ბარაბაძე მალულად ხელით აგზავნიდა ბურთს კარში, ამ დროს მსაჯი, საერთოდ, ყვითელ ბარათს იღებს ხოლმე, თუმცა ბარაბაძეს მანამდე წუთით ადრე მიიღო გაფრთხილება და ლევან ფანიაშვილმა გასაძევებლად დაინდო.

მეორე და საკვანძო ეპიზოდი კი 72-ე წუთზე იყო, როცა „მეშაქრეს“ ნახევარმცველმა ავთანდილ ფოფხაძემ ფლანგიდან ჩააწოდა და პაატა ბაკარანძემ თავით ჩალურსმა ბურთი კარში... 2:2? არა, თანამსაჯმა გოლი გააუქმა, თამაშგარე იყოო.

არადა, „მეშაქრესთვის“ ყველაფერი შაქარივით ტკბილად დაიწყო: მე-7 წუთზე პაატა ბაკარანძე პირისპირ შეეყარა „თბილისის“ მეკარე მიხეილ ალავიძეს, მახვილი კუთხიდან დაურტყა და 0:1.

„თბილისი“ მალე გამოფხიზლდა, ცენტრიდან თორნიკე აფციაური, ფლანგებიდან არჩილ სახვაძე და გოჩა ხოჯავა, თავდასხმაში კი რევაზ ბარაბაძე გააქტიურდნენ და 25-ე წუთზე გასატანი გაიტანეს კიდეც: აფციაურის ჩაწოდება ბარაბაძემ თავით აქცია გოლად.

მეორე ტაიმიც იგივე სცენარით დაიწყო, უფრო „თბილისი“ ფლობდა უპირატესობას, „მეშაქრე“ კი სწრაფ კონტრშეტევებს ეშურებოდა და ტემპიანი თამაში გამოვიდა.

აი, ხოჯავას დაფარულმა პასმა აგარელთა დაცვა არია, სახვაძემ კი გემრიელად ვერ დაარტყა და მეკარე დერევიაჩენკომ კუთხურზე გადააგდო.

მე-60 წუთზე კი „თბილისმა“ მრავალსვლიანი კომბინაციის შემდეგ იხეირა — სახვაძე-აფციაური-კვარაცხელიას სამკუთხედი და ბარაბაძემ ცარიელ კარში დუბლი შეასრულა — 2:1. „მეშაქრეს“ ორ წუთში შეეძლო გათანაბრება, თუმც დიმიტრი ვერემჩუკის 25-30 მეტრიდან გასროლილი საჯარიმო სანტიმეტრებით ასცდა კარს, მალევე თბილისელ მიხეილ ბესარაშვილს მახვილი კუთხიდან ოდნავ აუცდა სამიზნე.

მერე იყო ის არჩათვლილი გოლი, რომლის შემდეგ „თბილისმა“ მალევე მესამე შეაგდო და ამჯერადაც ჩახუჭუჭებული კომბინაციით: სახვაძე-ხოჯავა-ვახტანგ კვარაცხელიას გათამაშება, მურთაზ ბურნაძემ ძელს გაარტყა და დამატებაზე სახვაძემ იყოჩაღა 3:1. „მეშაქრე“ თამაშის გადამრჩენი აღარ ჩანდა, თუმც შეტევებს არ ეშვებოდა და გიორგი მდივნიშვილმა ძელი აახმაურა...

ეს იყო და ეს, „თბილისმა“ საბოლოო წერტილი 90-ე წუთზე დასვა, ამჯერად სახვაძემ იკისრა მეპასეობა და ვახტანგ კვარაცხელიამ ერთი შეხებით 4:1 გახადა.

მოკლედ, „თბილისი“ უმაღლესში დარჩა და ამ კლუბის ამბიციებს თუ გავითვალისწინებთ, გაისად ტვინის საბურღავად აღარ უნდა გაიხადოს საქმე. „მეშაქრე“ კი ისევ ნაცნობ ლიგაში გააგრძელებს თამაშს...

არადა, მართლა კარგი შთაბეჭდილება დატოვეს აგარელებმა...



სარბიელელები
ვულოცავთ ჩვენს
თანამშრომელს
ზურაბ წერეთელს და მარინა ხაბეიშვილს
ვაჟის დაბადებას

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ახალი ლარები ძველ დინამოს

**შაბათს** საქართველოს ეროვნულ ბანკში თბილისის „დინამოს“ გამარჯვების 25 წლის იუბილესადმი სპეციალურად მოჭრილი ორლარიანი მონეტების პრეზენტაცია შედგა. ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა რომან გოცირიძემ, სპორტსაზოგადოება „დინამოს“ პრეზიდენტმა გოჩა ძასოხოვმა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა ლეგენდარული „დინამოს“ ფეხბურთელები ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვეს.

რომან გოცირიძემ, გოჩა ძასოხოვმა და ნოდარ ახალკაცმა სიგელები, ფასიანი პრიზები და ვერცხლის 2-ლარიანი მონეტები უსახსოვრეს ალექსანდრე ჩივაძეს, რამაზ შენგელიას, ვლადიმერ გუცაევს, ოთარ გაბელიას, ნოდარ ხიზანიშვილს, შოთა ხინჩაგაშვილს, თენგიზ სულაქველიძეს, თამაზ კოსტავას, ზაურ სვანაძეს, ვაჟა ჟვანიას, ნუკრი კაკილაშვილს, ამირან ანდღულაძეს, კარლო მჭედლიძეს, ანზორ გაბიტაშვილს, სერგო კუტივაძეს... ერთი სიტყვით, ყველას, ვინც დიუსელდორფის ტრიუმფში წვლილი შეიტანა.

*საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახური*

# ბაქაშოი, სად ხარ?

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა და დამკვირვებელთა განყოფილების სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილებით, ჭაბუკთა ლიგაში გორის „დილასა“ და „თბილისის“ მატჩის გაცდენისთვის პირველი კატეგორიის ასისტენტი მიხეილ წიკლაური სეზონის ბოლომდე დისკვალიფიცირებულია.

მომავალში მისი მსაჯობის საკითხს კომისია დამატებით განიხილავს.


საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

დაბალი ტარიფები საქალაქთაშორისო და მობილურ საუბრებზე

დარეკეთ ქალაქის ტელეფონიდან მაგთიზე და ჯეოსელზე 25 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება თბილისის მასშტაბით)

საქართველოს რეგიონებში 12 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება საქართველოს მასშტაბით)

დროის წამობრივი აღრიცხვა

აკრეფვის წესი:
მობილურ ტელეფონზე დასარეკად
8-100+ მობილური ოპერატორის კოდი (99,98,95;77,93,55)
+ აბონენტის ნომერი
საქართველოს რეგიონებში
8-100+ ქალაქის კოდი+ აბონენტის ნომერი

8-100

ისაუბრეთ მეტი, გადაიხადეთ ნაკლები

რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge



სიახლე
ჯეოსელისგან
ჩათ-მიქსი!

GEO *123#
ჩათ MIX მიქსი

აკრიფეთ
*123*9# YES
და
მომენტალურად
დაადგინეთ
მიმდინარე
საფეხბურთო
მატჩების ანგარიშები

SCORE LIVE

wap.geocell.com.ge

# დავით ყიფიანის თასი
## ფინალი



მეკარეთა დუელი: ზურაბ ქვაჩახიამ გრიგოლ ჭანტურიას თასი მოუგო



თბილისი. 13 მაისი. 20 საათი. მიხეილ მესხი. 10 000 (ტევადობა 25 600)

**ამერი 2:2დ.დ. (4:3პ. 2:2) ზესტაფონი**

| | |
|---|---|
| 1:0 დავითაშვილი (10), 1:1 იონანიძე (29), 2:1 წინამძღვრიშვილი (60), 2:2 ლონლაძე (90) | |
| 0:0 დეკანოსიძე (აცილა), 0:1 განუგრავა, 1:1 ბოლქვაძე, 1:2 იმედაძე, 2:2 ტატანაშვილი, 2:2 ფიფია (მეკარე), 3:2 დავითნიძე, 3:3 იონანიძე, 4:3 ხვადაგიანი, 4:3 ჭანტურია (მეკარე) | |
| ამერი: ქვაჩახია, კედელაშვილი, დავითნიძე, ხვადაგიანი, ელბაქიძე, დეკანოსიძე, დობროვოლსკი, ბოლქვაძე, სევასტოპულო (დოლიძე 60), ს. დავითაშვილი (გ. კვახაძე 78), წინამძღვრიშვილი (ტატანაშვილი 72) სათადარიგონი: ნაჭყებია; ბერიანიძე, დ. მჭედლიშვილი, ნიკოლაიშვილი მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე | ზესტაფონი: გ. ჭანტურია, თურმანიძე, შ. ლონლაძე, ს. თოდუა, კ. ჩხეტიანი, ბენაშვილი (იმედაძე 73), განუგრავა, ბუალავა (ნუდნი 61), ბ. ნოზაძე (გ. ჭელიძე 68), ფიფია, იონანიძე სათადარიგონი: რ. კვასხვაძე; ბ. გოცირიძე, ხიდეშელი, ძამსაშვილი მწვრთნელი: კობა ჟორჟიკაშვილი |
| გაფრთხილება: დავითნიძე (28), ხვადაგიანი (43), დობროვოლსკი (51), დეკანოსიძე (53), ელბაქიძე (70), კედელაშვილი (71), ლონლაძე (73), ნუდნი (92), ჩხეტიანი (95) | |
| მსაჯები: გ. ვადაჭკორია; ზ. ჯვარიძე, ლ. მიქელაძე; ა. ნონიკაშვილი | |
| დამკვირვებელი: ა. შალამბერიძე | |

# ფინალი-ფილმი: ქართული ფეხბურთი ჰოლივუდის სცენარით

**გიორგი ნოზაძე**

**წესით** და რიგით, უნდა ვწერდეთ, „ამერმა“ „ზესტაფონს“ მოუგოო. ეს წესით და რიგით, თორემ „ამერმა“ უფრო მეტად არასახარბიელო პროგნოზს, „კეთილისმსურველთა“ ეჭვსა და ვარაუდს, თუ გნებავთ, კონიუნქტურასაც მოუგო და რაც შეეხება „ზესტაფონს“, წაგებულად მოხსენიებისთვის ნამდვილად არ გვემეტება. გუშინ ყველამ მოიგო, მათ შორის „ზესტაფონმაც“, სტადიონზე მისულმა თუ ტელეეკრანთან მჯდომმა ქომაგმაც, ზოგადად ქართულმა ფეხბურთმაც. ნამატჩევს კულტურისა და სპორტის მინისტრმა გოკა გაბაშვილმა მითხრა, კარგა ხანია, ქართული გუნდების შესრულებით ასეთი დაძაბული და სანახაობრივი ფეხბურთი არ მინახავს, სწორედ ასეთ მატჩებს შეუძლია ქომაგის სტადიონზე დაბრუნებაო. ამიტომაც გიქრება სურვილი, წაგებასა და წაგებულზე ლაპარაკის, მაგრამ რადგან ზემოთ წესი და რიგი უკვე ვახსენეთ...

ნამატჩევს, რიგითი გულშემატკივრით დაწყებული და ფეხბურთის სპეციალისტებით დამთავრებული, ყველა ერთხმად აღიარებდა, რომ ამგვარი სანახაობრივი და დრამატული ფინალით საქართველოს თასის გათამაშება კარგა ხანია, ან ეგებ არც არასდროს დასრულებულა. „ამერი“ და „ზესტაფონი“ მეჩვიდმეტე ეროვნულ ჩემპიონატში „ევროზონის“ მიღმა დარჩნენ და ერთადერთი შანსი ფინალში გამარჯვებაღა იყო. უეფას თასზე თამაში იქით იყოს და, აქამდე არც ერთს გუშინწინდელ მეტოქეთაგან არანაირი ტიტული არ მოეგო. მოკლედ, მოტივაციაზე, თავდადებაზე და სხვა ამგვარებზე ლაპარაკი უადგილოა — „მიხეილ მესხი“ ნამდვილი ომის მომსწრე გახდა.

მატჩი ამერელთა შეტევით დაიწყო და პირველსავე წუთზე გიორგი დეკანოსიძემ შორი მანძილიდან გასროლით აგრძნობინა მეტოქეს, არაფრის დამთმობნი არ ვართო, მე-10 წუთზე კი თბილისელები უკვე გატანილ გოლს ზეიმობდნენ. დავით ბოლქვაძემ მოედნის ცენტრში ბრძოლით მოიპოვა ბურთი და რატი წინამძღვრიშვილი მოძებნა. რატიმ საჯარიმოში შერბენილ სულიკო დავითაშვილს გადააწოდა, რომელმაც კორპუსით ბრძოლა მოუგო იმ დღის იუბილარ სევასტი თოდუას და შორეულ კუთხეში ზუსტად გაგზავნა ბურთი — 1:0. სადებიუტო ათი წუთის მიმოხილვა შემთხვევით არ გამოგვიტოვებია — ეს გოლი მხოლოდ პროგნოზების კი არა, პირველ ათ წუთში გამოკვეთილი სცენარის მსხვრევასაც ნიშნავდა. ბუნებრივია, „ამერი“ უფრო ფრთხილი გახდა და კონტრშეტევებში დაიწყო მორიგი შანსის ძებნა. მოედნის ცენტრში უდიდეს სამუშაოს ასრულებდა დავით ბოლქვაძე, შეტევაში კი ჩვეულად მებრძოლ სულიკო დავითაშვილს დიდებულად აუბა მხარი რატი წინამძღვრიშვილმა. პირველი გოლის შემოქმედ ამ სამეულს მე-15 წუთზე კიდევ ერთის გატანა შეეძლო: წინამძღვრიშვილმა სამ მეტოქეს შორის გაიკვალა გზა და დავითაშვილი მონახა; „აბრეზამ“ დასარტყამ პოზიციაზე ბოლქვაძე დატოვა და მის მიერ გასროლილი ბურთი გრიგოლ ჭანტურიამ კუთხურზე მოიგერია. კიდევ ათი წუთის შემდეგ დენის დობროვოლსკის ჯერი დადგა. ზესტაფონელთა მიერ საჯარიმოდან ცუდად ამოტანილ ბურთს მან პირველ ცდაზე ფეხი აცილა, თუმცა მეორე შანსიც მიეცა და ჭანტურიამ ნახტომით უკუაგდო კუთხეში მიმავალი ბურთი.

აქამდე თითქმის არაფერი გვითქვამს „ზესტაფონზე“, არადა, ბურთს უფრო ხშირად იმერლები აკონტროლებდნენ. კობა ჟორჟიკაშვილის შეგირდები საჯარიმომდე მისვლასაც ახერხებდნენ, მაგრამ 29-ე წუთამდე ზურაბ ქვაჩახია სერიოზულად არ დაუსაქმებიათ. 29-ე წუთზე „ამერის“ საჯარიმოს მარჯვენა კუთხიდან ჯარიმა გოგი ფიფიამ ჩააწოდა, ბურთი ერთ-ერთი ამერელი მცველის ფეხიდან აიჭრა და კარიდან ორ მეტრში უმეთვალყურეოდ დატოვებულ ზურაბ იონანიძეს ისლა დარჩენოდა, ანგარიში გაეთანაბრებინა — 1:1.

როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, ფსიქოლოგიურმა უპირატესობამ „ზესტაფონის“ მხარეს გადაინაცვლა, თბილისელთა დაცვაში შეცდომებმა იმატა და ანგარიშის გათანაბრებიდან ერთ წუთში ფიფიას „ზესტაფონის“ დაწინაურებაც შეეძლო. საჯარიმოს წინა ხაზიდან მის მიერ ძლიერად დარტყმულმა ბურთმა ძელიდან რამდენიმე სანტიმეტრში ჩაიქროლა. ტაიმის ბოლომდე უპირატესობა „ზესტაფონის“ მხარეს დარჩა. იონანიძე თავისთავად და, ნაკლებ თავსატეხს „ამერის“ დაცვას არც გიორგი თურმანიძე და ფიფია უჩენდნენ. „ფიფომ“ მე-40 წუთზე „ამერის“ დაცვას ზედ პირით ხაზთან ჩაუცეკვა, ორი „პადსებიათი“ თავი გაითავისუფლა და მახვილი კუთხიდან დაარტყა კიდეც — ბურთი მცველს მოხვდა და ქვაჩახიას მისი დაუფლება აღარ გასჭირვებია. ტაიმის დასრულებამდე წუთით ადრე შანსი „ამერსაც“ მიეცა. წინამძღვრიშვილმა მორიგი გარღვევა წამოიწყო, მაგრამ წააქციეს, გიორგი ვადაჭკორიამ კი ანიშნა, თამაში გააგრძელეთო. რატიმ წამოხტომა და დაკარგული ბურთის ჩაჭრაც მოასწრო, რომელიც მა-



რატი წინამძღვრიშვილის (№11) ულამაზესი თავური

# დავით ყიფიანის თასი

## ფინალი

რტო მდგომ დავითაშვილს მიუვიდა. „აბრეზა“ ამგვარ საჩუქარს არ ელოდა და მომენტიც გაცუდდა.

მეორე ტაიმის დასაწყისი პირველისას ჰგავდა, იმ განსხვავებით, რომ „ამერმა“ ათის მაგიერ ხუთი წუთი იკმარა გასატანად. დავითაშვილმა ფლანგზე დეკანოსიძე მონახა, ამან საჯარიმოში ჩააწოდა, საიდანლაც გამოფრენილმა წინამძღვრიშვილმა კი თავით ულამაზესი გოლი გაუტანა გრიგოლ ჭანტურიას — ბურთი ზედ ხარიხის ძირში შეფრინდა. ამერელებს მეორე გოლით გამოწვეული სიხარული არ განელებოდათ, რომ იონანიძემ ისევ ორი მეტრიდან გაიტანა. თუმცა თამაშგარე მდგომარეობა აშკარა იყო და ლევან მიქელაძის ალმის ფრიალზე პროტესტი ზესტაფონელ ფეხბურთელებსაც არ გამოუთქვამთ. „იონამ“ მე-60 წუთზე კიდევ ერთხელ დაიძვრინა მეურვეობისგან თავი, თურმანიძის ჩაწოდებული ბურთი პენალტის ნიშნულთან მყოფმა ერთი შეხებით მოათვინიერა, მეორით კი კარისკენ დაუნაცვლა. გოლი თითქოს გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ კარიდან გამოვარდნილმა ქვაჩახიამ ფეხებით სასწაულებრივ მოიგერია ბურთი კუთხურზე.

თამაშის დასრულებამდე ნახევარი საათი რჩებოდა და ორივე მწვრთნელმა შეცვლებს მიმართა. გიორგი ჩიხრაძემ დავით სევასტოპულო გრიგოლ დოლიძით ჩაანაცვლა, მოგვიანებით კი რატი წინამძღვრიშვილი და სულიკო დავითაშვილიც გაიყვანა მოედნიდან. კობა ჟორჟიკაშვილმა თამაშში ჯერ სერგეი ნუდნი ჩართო, მერე კი გიორგი ჭელიძე და გრიგოლ იმედაძე. „ამერი“ დაცვის გაძლიერებით გეგმავდა სასურველი ანგარიშის შენარჩუნებას, „ზესტაფონს“ კი სიტუაცია მეტი აგრესიულობისკენ უბიძგებდა. ძირითადი დროის ამოწურვამდე ხუთი წუთით ადრე „ამერის“ კარში კინალამ კურიოზული გოლი გავიდა. ორმოციოდე მეტრიდან დარტყმული ბურთი უცნაური ტრაექტორიით გაფრინდა შორეული „ცხრიანისკენ“, ქვაჩახიამ კუთხურზე გადაგდების ნაცვლად მისი დაუფლება გადაწყვიტა, დაეუფლა კიდეც და... თავად კარის ხაზს შიგნით დაეცა, მაგრამ ბურთი ხაზსგარეთ დააფიქსირა.

თამაშისთვის განკუთვნილი დრო ფაქტობრივად ამოიწურა. „მიხეილ მესხის“ 30-ე სექტორი („ამერის“ ფანებს რომ ჰქონდათ შევსებული) უკვე გამარჯვებას ზეიმობდა, „ზესტაფონურ“ მე-5 სექტორში კი მარცხს შეეგუენ და სიჩუმემ დაისადგურა...

იშვიათია, მეკარემ საგოლე გადაცემა მიითვალოს. კიდევ უფრო იშვიათია, ეს თასის ფინალში მოახერხოს და მაინცდამაინც ბოლო წუთზე. გრიგოლ ჭანტურიამ მოედნის ცენტრიდან ჯარიმა დაარტყა და ბურთი თავზე დაასვა შალვა ღონღაძეს, რომელიც „ამერის“ დაცვას უმეთვალყუროდ დაეტოვებინა. წამის შემდეგ ოცდამეათე სექტორში უკვე გაოგნებამ, მეხუთეში კი აღტყინებამ დაისადგურა — სტადიონის ტაბლო 2:2-ს უჩვენებდა, მეოთხე მსაჯისა კი ოთხს წუთს, გიორგი ვადაჭკორიამ ძირითად დროს რომ დაამატა. აბა, ასეთ დროს ვინღა გარისკავს, გუნდები დამატებითი ტაიმების გარდუვალობას შეეგუენ.

როცა გოლს ძირითადი დროის დასრულებამდე წამებით ადრე უშვებ, როცა მოედანზე მყოფ თითქმის ყველა შენს ფეხბურთელს თითო ყვითელი ბარათი მიღებული აქვს, როცა მოედნიდან გაყვანილი გყავს თავდასხმის დუეტი... ლოგიკის მიხედვით, დამატებითი დრო „ამერს“ კარგს არაფერს უქადდა. გიორგი ჩიხრაძემ შეძლო და გუნდს კიდევ ერთხელ დაუბრუნა მებრძოლი სული. როგორც ნამატჩევს ფეხბურთელებმა გვითხრეს, ძირითადის დასრულების შემდეგ ჩიხრაძეს მათთვის უთქვამს, თქვენ უკვე მოგებულები ხართ, ახლა კი გადით და გააკეთეთ ის, რაც შეგიძლიათო.

„ამერმა“ გააკეთა ის, რაც შეეძლო — ფაქტობრივად თავდასხმის გარეშე დარჩენილმა გუნდმა დამატებით დროში კარი მშრალად შეინახა. თუმა ერთ ეპიზოდში თბილისელები ფორტუნამღა იხსნა. მეორე დამატებითი ტაიმის მე-8 წუთზე იმედაძემ შორეულ კუთხეში დაურტყა ქვაჩახიას და ბურთი „ამერის“ კარის ჯვარედინმა აისხლიტა.

მაშ ასე, თასის მფლობელს პენალტების სერია გაარკვევს! არადა, როგორი საქმეა: „ამერის“ კარში ზურაბ ქვაჩახია დგას, რომელიც შარშან „ზესტაფონის“ სამსახურში არცთუ ურიგოდ იდგა, მაგრამ ჩემპიონატის პირველი წრის დასრულების შემდეგ გუნდიდან დაითხოვეს. ბუნებრივი მოტივაციის გარდა „ქვაჩის“ კოზირი ისიც იყო, რომ ყოფილი თანაგუნდელების საპენალტე შესაძლებლობები ჩინებულად უწყის.

მწვრთნელებმა პენალტისტთა ხუთეულები დაასახელეს. კარიც შეირჩა. ნერვები წკიპზეა და ბევრს მოედნისკენ ყურებაც უჭირს.

პირველი „ამერი“ ურტყავს. ნიშნულთან გიორგი დეკანოსიძე მიდის, ურტყამს და... აცილებს — 2:2 ძალაშია.

„ზესტაფონის“ რიგია. ბურთთან განუგრავა მიდის. მოკლე გამორბენით ურტყამს, ქვაჩახია იგერიებს, მაგრამ ზედვე ეცემა, ბურთს მისი იდაყვი ისხლეტს და 3:2 ზესტაფონის სასარგებლოდ.

„ამერიდან“ ბოლქვაძე ურტყამს და ჭანტურიას შანსს არ უტოვებს — 3:3.

გრიგოლ იმედაძე კარგად ურტყამს, თუმცა ქვაჩახიამ ისევ გამოიცნო კუთხე, თითებიც წაატანა ბურთს — მაინც 4:3 ზესტაფონელთა სასარგებლოდ.

დიმიტრი ტატანაშვილი თავდაჯერებული მიდის ბურთთან და უნაკლოდაც ასრულებს დარტყმას — 4:4.

ქვაჩახიამ ზედიზედ მესამედ გამოიცნო კუთხე, ამჯერად გოგი ფიფიას დარტყმის შემდეგ, იგერიებს და თანაფარდობა აღდგენილია — 4:4. გუნდებს ორ-ორი პენალტი აქვთ შესასრულებელი.

გიორგი დავითნიძე ზუსტია — 5:4 უკვე „ამერის“ სასარგებლოდ.

ზურაბ იონანიძე კიდევ ერთხელ ათანაბრებს — 5:5.

ვახტანგ ხვადაგიანი გადამწყვეტ მომენტშიც აბსოლუტურად მშვიდია — 6:5.

მეკარეთა დუელი: „ზესტაფონიდან“ ბოლო, მეხუთე დარტყმას საკუთარ თავზე გრიგოლ ჭანტურია იღებს, ბურთს თითქმის პირდაპირ ცენტრში ურტყამს და ქვაჩახია მუხლებს უხვედრებს... ის, რაც 30-ე სექტორში ხდება, სიგიჟეს ჰგავს, „ამერის“ ფანები დამცავ ღობეს აწყდებიან, მოედანზე კი ამერელებს ზურაბ ქვაჩახია ლამის შემოეგუდათ.

ფინალის ფინალი ძალიან ლამაზი გამოვიდა. საქართველოს თასის ახალ მფლობელ „ამერს“ თასი ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა გადასცა, მედლები კი ფედერაციისა და პროფლიგის სხვა ხელმძღვანელებმა. ცა ფეიერვერკმა გაანათა.

უმაღლეს ლიგაში ერთი წლის გადმოსული გუნდისთვის საქართველოს თასის დაუფლება გაცილებით მეტია, ვიდრე უბრალოდ კარგი ან თუნდაც ფანტასტიური შედეგი. ეს იმის დასტურია, რომ გეზი სწორია, სანთელ-საკმეველი კი გზას არასოდეს დაკარგავს. შექმნიდან ოთხი წლის შემდეგ თბილისის „ამერი“ ევროტურნირს დააჭაშნიკებს.



შალვა ღონღაძის საგოლე თავურმა „ამერს“ ზეიმი ნახევარი საათით გადაუდო





პენალტის ამცილებელი გიორგი დეკანოსიძე ნამატჩევს გასახდელში

# ზურაბ ფოცხვერია: სამუშაო ძალიან ბევრია

## ნუ გამოვიგონებთ უცხოპლანეტელებს

**2006 წელი. 13 მაისი. თავის პირველ საუმაღლესლიგო სეზონს თბილისის „ამერი“ მნიშვნელოვანი წარმატებით აგვირგვინებს — საქართველოს თასს იგებს და ღირსეულ ადგილს იკავებს ქართული ფეხბურთის ისტორიაში. სულ რაღაც ოთხი წლის კლუბი, სულ რაღაც პირველი სეზონი ქართულ ელიტაში, სულ რაღაც მცირე გამოცდილება საიმისოდ, რათა იმ გზაზე შედგე, გამარჯვებამდე რომ მიგიყვანს. „ამერმა“ ეს მოახერხა და ახლა მომავალს უფრო თამამად უყურებს — კმაყოფილები ვართ, მაგრამ ეს არ გვაკმაყოფილებს — შეიძლება, ასეც ჩამოვაყალიბოთ ამერელთა ახალი დევიზი, რომელიც კლუბის პრეზიდენტ ზურაბ ფოცხვერიას ნაუბრიდან აშკარად იკვეთება...**



— როგორია თქვენი საფინალო შთაბეჭდილებები?

— რა თქმა უნდა, ემოციები ჭარბობს, ეს გამომდინარეობს თამაშის შინაარსიდანაც და სიუჟეტიდანაც. დამეთანხმებით, დრამატული ფინალი გამოვიდა. ვთვლი, რომ წმინდა საფეხბურთო თვალსაზრისით ხარისხიანი თამაში იყო და ეს ყველაფერი ჩვენთვის ასე იშვიათობად ქცეულმა მაყურებლის სიმრავლემ, საზეიმო განწყობამ, მონდომებამ და თამაშის ჟინმა განაპირობა...

— „ამერი“ საქართველოს თასის მფლობელია. როგორ გრძნობთ თავს ახალ ამპლუაში?

— კარგია!

— როცა ანგარიში 2:2 გახდა, პირველი რა გაიფიქრეთ?

— სიმართლე ვთქვა, არ მახსოვს...

— გასაგებია, რომ განწყობა გაგიფუჭდებოდათ, მაგრამ, თუ შეიძლება ასე ითქვას, გამარჯვების იმედს პროცენტები ხომ არ მოაკლდა?

— თამაშის დაწყებამდე ვიცოდი, რომ ყველა, ფეხბურთელი, მწვრთნელი, მოკლედ, მთელი გუნდი მაქსიმუმს გააკეთებდა, უკან არ დაიხევდა და ამ მხრივ მშვიდად ვიყავი. მოგების იმედი კი, რა თქმა უნდა, მქონდა. 2:2-ზე კი არა, იმედი დეკანოსიძის აცილებული პენალტის მერეც მქონდა, დარწმუნებული ვიყავი, რომ ბიჭები ყველაფერს გააკეთებდნენ და ეს ყველას, კლუბის ყველა თანამშრომელს, ყველა წევრს დაუფასდებოდა.

— უმაღლეს ლიგაში სადებიუტო სეზონშივე თასის აღებას ელოდით?

— ძნელი სათქმელია. სეზონის წინ არ გვითქვამს, გინდა თუ არა, თასი ან რომელიმე სინჯის მედალი უნდა ავიღოთო. ჩვენი მიზანი ევროთასზე გასვლა იყო და ეს მიზანი ჩვენი შესაძლებლობების გათვალისწინებით დავისახეთ. ეს რეალური იყო და, მართალია, ვერ ვიტყვი, დარწმუნებული ვიყავიო, მაგრამ ფაქტია, საამისოდ უკან არ დაგვიხევია.

— „ამერმა“ თავიდანვე უარი თქვა ინტერტოტოზე. რატომ?

— იმედი გვქონდა, რომ რომელიმე ევროთასის საგზურს მოვიპოვებდით...

— და არა ის, რომ ინტერტოტოზე თამაში გუნდს მომავალი სეზონისთვის მზადებაში ხელს შეუშლიდა?

— ესეც. მოკლედ, ყველაფრის გათვალისწინებით მივიღეთ ასეთი გადაწყვეტილება. ჩვენ ჯერ კიდევ მაშინ განვაცხადეთ, რომ ინტერტოტოზე თამაში არ გვსურს, რადგან სხვა ევროთასზე გასვლის იმედი გვაქვს.

— თვლით თუ არა, რომ მომავალი სეზონი გაცილებით რთული იქნება „ამერისთვის“, ვიდრე წლევანდელი იყო?

— გამორიცხული არაა, ასე იყოს. მაგრამ იმასაც ვერ ვიტყვი, რომ, რადგან თასის მფლობელები ვართ, სირთულეები ამიტომ გვექნება. იოლი ცხოვრება არც პირველ ლიგაში გვქონია, არც წლევანდელ უმაღლეს ლიგაში და ამას არც ვეძებთ. ადამიანი რაც უფრო იზრდება, მით მეტი ცხოვრებისეული წინაალმდეგობა ხვდება. სპორტშიც ასეა — რაც უფრო წინ - მიდიხარ, მით მეტი ბარაერი გხვდება. ვეცდებით, ყოველ მომდევნო ეტაპზე მზად ვიყოთ იმ სირთულეების დასაძლევად, რაც შეგვხვდება.

— უეფას თასი კიდევ ერთი ახალი ეტაპია „ამერის“ ცხოვრებაში. ზამთარში, ანთალიურ შეკრებაზე „ამერი“ რამდენიმე უცხოურ გუნდს გაეჯიბრა და, ასე ვთქვათ, ევროპას კბილი მოუსინჯა. როგორ ფიქრობთ, ეს საკმარისია?

— დარწმუნებული ვარ, ქართულ ფეხბურთს შეუძლია, კონკურენტუნარიანი იყოს, ოღონდ ამას დრო და მუშაობა სჭირდება. თუნდაც იმ ანთალიის მაგალითით ვთქვათ — საკმაოდ ცნობილ გუნდებთან ცუდად სულაც არ გვითამაშია. ევროპა არ არის სხვა პლანეტა და ასე არ უნდა შევხედოთ. მთავარია მუშაობა, მისწრაფება და დრო, რათა შედეგი მიიღო. ამას არა მხოლოდ „ამერზე“ ვამბობ, ნებისმიერ ქართულ გუნდს ვგულისხმობ.

— როცა „ამერი“ შეიქმნა, ჩამოაყალიბეთ გარკვეული გეგმა, რომლის მიხედვითაც უნდა განვითარებულიყო კლუბი. შეგიძლიათ, თქვათ, რომ ჯერჯერობით ყველაფერი ისეა, როგორც გათვალეთ?

— არა, ყველაფერი ისე ვერ მიდის. აი, მაგალითად, უკვე მზად უნდა გვქონოდა ბაზა, მაგრამ ვერ მოვასწარით. ამ ბაზას თავიდანვე სტრატეგიულ მნიშვნელობას ვანიჭებდით და ცუდია, რომ ვადებში ვერ ჩავეტიეთ. „ამერს“ ექვსწლიანი გეგმა ჰქონდა და ძირითადი ეტაპების უმეტესობა უკვე შევასრულეთ — ამაში წმინდა სტრუქტურულ და სპორტულ მხარეს ვგულისხმობ — გვაქვს საფეხბურთო სკოლა, გვექნება ბაზა, მატჩებს ჩვენს სტადიონზე ვატარებთ, სხვადასხვა ნაკრებში მიიწვიეს ჩვენი ფეხბურთელები, დავიმკვიდრეთ ადგილი უმაღლეს ლიგაში, თასის მოგებით მოკრძალებული სიტყვა ვთქვით ქართულ ფეხბურთში, გარდა ამისა, უნდა გვქონოდა გამართული ინფრასტრუქტურა და უნდა გავსულიყავით ევროთასზე.

— მოკლედ, სამუშაო კიდევ ბევრია...

— სამუშაო ძალიან ბევრია...

**ბაჩა შალამბერიძე**

# ყველაფერს თავისი ტაიმი აქვს



**თასის** ფინალის მერე, გასაკვირი არ არის, „ამერმა“ მცირე „მესამე ტაიმიც“ რომ მოაწყო. რესტორან „მწვადიაურში“ ამერელებთან ერთად რამდენიმე სარბიელელიც ვიყავით.

ამ ვახშმიდან, გათენებამდე რომ გასტანა, რამდენიმე ამბავს გამოვარჩევთ, მკითხველისთვისაც საინტერესო რომ უნდა იყოს.

„ამერის“ პრეზიდენტ ზურაბ ფოცხვერიას, ბუნებრივია, სალამოს განმავლობაში ურეკავდნენ და გამარჯვებას ულოცავდნენ, ერთი ასეთი ზარი კი უცხოეთიდანაც მიიღო — „ამერს“ თასის მოგება „ზესტაფონის“ პრეზიდენტმა ილია კოკაიამაც მიულოცა.

სასიამოვნო იყო ისიც, რომ ამერელებმა მეტოქეც ადღეგრძელეს და რაკი იმ სუფრასთან ზესტაფონელთაგან არავინ იყო, ეს ზრდილობის გამო წარმოთქმულ სადღეგრძელოდ ვერაფრით ჩაითვლებოდა.

საგულისხმოა ზურაბ ფოცხვერიას ნათქვამიც: ჩვენი მიზანი ვიღაცის გულის გასახეთქად მოგება კი არა, ჩვენი მეგობრების გასახარებლად მოგება არისო.

თავად ვახშამი კი შედარებით ვიწრო წრეში დაიწყო და ნელ-ნელა ფეხბურთელებიც შემოემატნენ. თითოეული ფეხბურთელის გამოჩენას კი ტაში და „გაუმარ-ჯოს!“ ახლდა.

მოვიდა გიორგი ღუდუშაურიც. „ხრუბეშა“ პირველი თაობის ამერელია და თავადვე თქვა, სად არ მითამაშია, მაგრამ კარიერა „ამერში“ დავასრულე და დღეს აქ არ ვყოფილიყავი, არ შემეძლოო.

და თასიდან ღვინის შესმა? საქართველოს თასი ჩვენი გამოთვლით 8-10 ლიტრს უნდა იტევდეს და ამიტომ გამარჯვების სადღეგრძელო თასის ხუფიდან შეისვა — ასე, ნახევარ ლიტრამდე ეტევა.

**საქართველოს ჩემპიონი ბოლნისის „სიონი“ გულითადად ულოცავს თბილისის „ამერს“ საქართველოს თასის ფინალში შთამბეჭდავ გამარჯვებას და მოუთმენლად ელის მასთან სუპერთასზე შეხვედრას**

2007 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი. თბილისი. სპორტის სასახლე. 13 მაისი

## საქართველო 0:3 შვედეთი 20:25, 23:25, 22:25

# ქართველებმა საქართველო შვედურ მაგიდაზე გაიცნეს



„ამ ნაკრებს მომავალი აქვს, დღეს ელემენტარული შეცდომების გამო წავაგეთ, არ ვიცოდით, როდის ბლოკი დაგვეყენებინა და როდის რა ტაქტიკაზე გადავწყობილიყავით. ეს გასაკვირი სულაც არაა, რადგან უმეტესობამ ერთმანეთი ათიოდე დღის წინ გავიცანით და ამ ძალიან მოკლე დროში გუნდი ვერ შეიკრა. თბილისში კი ვთამაშობდით, მაგრამ მოედნის ფაქტორი ჩვენთვის უპირატესობა ვერ გამოდგა. მეტოქის არ იყოს, სპორტის სასახლეში ჩვენც ერთხელ ვივარჯიშეთ. ასე რომ, მოედანი ერთნაირად „ავითვისეთ". ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრის მხოლოდ თეორიული შანსი დაგვრჩა. საპასუხო მატჩში მაქსიმუმი უნდა გავაკეთოთ, თანაც საკუთარ თავს ვაჯობოთ. საწყენია, რომ საკუთარ მოედანზე ვერ მოვიგეთ, მაგრამ მთავარია, ნაკრები ჩამოყალიბდა და უკვე ვიცით, სამომავლოდ ვინ რა უნდა ვაკეთოთ" — გვითხრა საქართველოს ნაკრების კაპიტანმა და ფრანგული „ნიცას" ერთ-ერთმა ლიდერმა ამირან ჯიოშვილმა.

ამირან ჯიოშვილი მართლაც რომ ღირსეული კაპიტანია. რამდენიმე მომენტში ისე ითამაშა, როგორც გამორჩეულებს სჩვევიათ და თავისი ორიგინალური გადაწყვეტილებებით მატჩს ინტრიგა შეუნარჩუნა.

ჯიოშვილს გვერდში სხვებიც ამოუდგებიან. გერმანიის ჩემპიონატში მოთამაშე სულხან ახვლედიანს ტრავმა კი ჰქონდა, მაგრამ პერიოდულად გაიბრწყინებდა ხოლმე. „ტრაბზონის" თურქეთის უმაღლეს ლიგაში გადამყვანი ვახტანგ ჩიქოვანიც გამოირჩეოდა, ისევე როგორც ყაზახეთში მოთამაშე თენგიზ ჯანხოთელი, მაგრამ ეს ყველაფერი პერიოდულად ხდებოდა. ნაკრებს აკლდა სტაბილურობა, რაც, ცხადია, დროის და შეთამაშების ამბავია, მეტოქე კი აშკარად შეკრული და ნავარჯიშები იყო.

მთავარია, საქართველოს ჰყავს კაცთა ნაკრები, რომელიც იმედია, მალე შვედეთს და უკეთეს გუნდებს გაამწარებს. ნურც იმას დავივიწყებთ, რომ დღეს შვედეთის ნაკრებში თამაშობს საუკეთესო მექულე და მომწოდებელი მარკუს ნილსონი. შვედეთს არ აკლია პირობები, შეკრებები და ტურნირები. საქართველოს ნაკრები კი გუშინწინ დაიბადა.

### ნამატჩევს

*ირაკლი ჩაჩუა:* შვედეთი გამოცდილი გუნდი და ძლიერი მოწინააღმდეგეა. მართალია, დავმარცხდით, მაგრამ მეტოქეს ტოლ-სწორად ვებრძოლეთ და მოგებაც შეიძლებოდა. გამარჯვების მოპოვება კი იმიტომ ვერ შევძელით, რომ გუნდი ახალი შექმნილია და შეუთამაშებლები ვართ. ახლად დაკომპლექტებული ნაკრებისთვის ეს პირველი თამაში იყო და შედეგის მიუხედავად, მაინც კმაყოფილი ვარ. რაც შეეხება საპასუხო მატჩს, სტოკჰოლმში შანსები თანაბარია. მომავალი წლისთვის კი საქართველოს კარგად ჩამოყალიბებული ნაკრები ეყოლება, რომელზეც დიდ იმედებს ვამყარებთ.

*ლევან ახვლედიანი:* თამაში თანაბარი ძალებით მიმდინარეობდა. შვედეთის ნაკრები სათანადოდ იყო მომზადებული, ჩვენი გუნდი კი ჯერ ახალი ჩამოყალიბებულია და დროა საჭირო, რომ ფორმაში ჩავდგეთ. ნამდვილად არ ვიმსახურებდით წაგებას, მაგრამ მაინც კმაყოფილი ვარ. ყველაფერი წინ გვაქვს. სტოკჰოლმში ბევრი რამ შეიძლება შეიცვალოს, შანსები თანაბარია.

**თიკა ასლანიშვილი**
**თამუნა ზერმადინი**





ტესტ-მატჩი. 14 მაისი. ტოკიო

## იაპონია 37:7 საქართველო

საქართველო: 15 თემურ სოხაძე (19 რევაზ გიგაური, შეცვალა 76 წუთზე), 14 გიორგი ელიზბარაშვილი (21 ოთარ ბარკალაია, 58), 13 მალხაზ ურჯუკაშვილი, 12 დავით კაჭარავა, 11 გიორგი შკინინი (18 ვასილ აბაშიძე, 80); 10 პალიკო ჯიმშელაძე, 9 ირაკლი აბუსერიძე (220 გიორგი კაჭარავა, 76); 8 ბესიკ უდესიანი, 7 ზვიად მაისურაძე, 6 გია ლაბაძე (კაპ), 5 ლევან დათუნაშვილი, 4 ზურაბ მჭედლიშვილი, 3 ავთო კოპალიანი, 2 გიორგი კუთარაშვილი (16 ირაკლი ნატრიაშვილი, 76), 1 მიხეილ სუჯაშვილი (17 დავით გასვიანი, 67)

*1 ლელო: სუჯაშვილი; 1 გარდასახვა: ჯიმშელაძე*

# როცა მენეჯერიც მორაგბის ფასი ღირს



ზურაბ მჭედლიშვილი

**აზიის მიწაზე** გამარჯვების და ახალი შთაბეჭდილების საძიებლად თავის არსებობაში პირველად ფეხშემდგარმა ქართველმა „ლელოებმა" ამომავალი მზის ქვეყნიდან ორი მარცხი წამოიღეს. იაპონიის „ა" ნაკრებთან მინიმალური სხვაობით, 14:15 დამარცხებულმა ქართველებმა ორიოდ დღე შეისვენეს, ძალღონე მოიკრიფეს და იაპონიის პირველ ნაკრებთან კიდევ უფრო „დამაჯერებლად" წააგეს — 7:32.

ასე წაგების შემდეგ სალაპარაკო თითქოს არაფერი უნდა იყოს, მაგრამ არც მთლად ასეა საქმე. „მოყვავილე ალუბლებთან" „ბორჯღალის" გუნდის" 25-ქულიანი მარცხი სულაც არ ასახავს იაპონური და ქართული რაგბის დონეთა რეალურ თანაფარდობას, რაკილა ქართველებს ძირითადი გუნდის 9 მორაგბე აკლდათ და მათი ადგილები ნაკლებ ან სანაკრებოდ სულაც გამოუცდელ მოთამაშეებს შეევსოთ. ესეც იძულებით. ამასთან ქართველთა იაპონური ტურნე ირბ-ს არ შეუტანია ოფიციალურ სატესტო კალენდარში და ფრანგულმა კლუბებმაც საქართველოს რაგბის კავშირს ჩვენი ლეგიონერების „თხოვებაზე" უარი უთხრეს.

„ლელოების" მწვრთნელებს ამ მიზეზთა გადამკიდე სერიოზული პრობლემები შეექმნათ გუნდის შევსებასთან დაკავშირებით და ისე გამოვიდა, იაპონიაში ოდენ 21 მორაგბე იახლეს. რაგბის სამატჩო განაცხადი, მოგეხსენებათ, 22-კაციანია და ამ ვაკუუმის შევსება იძულებით მოუხდა ნაკრების მენეჯერ ვასილ აბაშიძეს, ძველ მორაგბეს. აბაშიძეს ნაკრებშიც უბურთავია, ოღონდ კლოდ სოსელის ეპოქაში და მანამდე, და ახლა ბარე სამწლიანი შესვენების შემდეგ მოირგო სარაგბო კვართი — გუნდში 22-ე კაცად ჩაეწერა. იაპონიის „ა" გუნდთან აბაშიძეს არ უთამაშია, შაბათს „ალუბლების" ძირითად ნაკრებთან ბოლო წუთებზე კი მოუწია მოედანზე შესვლა. ესეც სათქმელია, რომ იაპონელებთან პირველი ტესტის შემდეგ „ლელოებს" შერკინების გამთამაშებელი ბიძინა სამხარაძე დაუშავდათ და მეორე ჯახისთვის ასეც ვერ მოუყარეს თავი 22 კაცს.

რაც შეეხება მატჩის, ოქმის მიხედვით, „ლელოებს" პირველი ტაიმი გაცილებით უკეთ ჩაუტარებიათ, ვიდრე მეორე. 0:8 ჩამორჩენის შემდეგ ნაკრებში ხანდახან მოთამაშე პირველხაზელმა მიხეილ სუჯაშვილმა 26-ე წუთზე ლელო დადო, ხოლო ძირძველმა დამრტყმელ-გამთამაშებელმა პალიკო ჯიმშელაძემ გარდასახა და სხვაობაც ერთ ქულამდე შემცირდა. პალიკოს ტაიმის მიწურულს საჯარიმოც რომ გაეტანა, ქართველები მეორე ტაიმს 5-ქულიანი ჩამორჩენით შეხვდებოდნენ, მაგრამ ააცილა — 7:15.

თავისთავად ამ დროს უქმად არც იაპონელები იყვნენ, ვისაც მსოფლიოს თასი არ გაუცდენიათ და რაგბის სამყაროში ელიტაში თუ არა, მეორე ეშელონის გრანდებში თავისი სიტყვა მაინც ეთქმით. სწრაფად და ლაღად მობურთავე იაპონელებმა საპირველტაიმო ორ ლელოს მეორეში კიდევ სამი მიამატეს, ხოლო გადაქანცულ ქართველებს ქულაც არ აღებინეს.

ისევე როგორც პირველ ჯახში, „ლელოებს" კვლავაც ვეტერანი ფლანკერი გია ლაბაძე კაპიტნობდა. ხოლო ძველმა კაპიტანმა და კიდევ უფრო ასაკოვანმა ვეტერანმა ზურაბ მჭედლიშვილმა მთელი 80 წუთი შეუცვლელ-შეუსვენებლად იბურთავ-იბულრავა.

**კოტე ყორშია**

### ნამატჩევს

საქართველოს ნაკრების კაპიტანსა და ფრანგული ტულონის უნივერსალ მორაგბეს გია ლაბაძეს დავუკავშირდით:

„მატჩი საქართველოს დროით დილის რვა საათზე დაიწყო და ადაპტაცია ვერ მოვასწარით. თანაც პირველი შეხვედრის შემდეგ სერიოზულად დაგვიშავდა ბიძინა სამხარაძე, მატჩის განაცხადში ერთით ნაკლები, ოცდაერთი კაცი გავიყვანეთ. ამათგანაც ერთი, ვასილ აბაშიძე ახლა ნაკრების მენეჯერია და რაგბი სერიოზულად ბოლოს სამი წლის წინ თუ უთამაშია. თანაც გავითვალისწინოთ, რომ პირველი და მეორე კი არა, მესამე შემადგენლობით ვითამაშეთ. ერთი შეხედვით ისე გამოვიდა, რომ ტურნე ჩაგვივარდა, მაგრამ სარგებელი მაინც იყო. იაპონია ჩვენთვის განსხვავებული სტილით აქვს. უფრო ახალზელანდიური ტაქტიკით თამაშობენ, რაც ჩვენთვის სიახლე გამოდგა. მათთან ტესტ-მატჩები ჩვენთვის უდიდესი გამოცდილებაა. დიდი სხვაობით წაგების მიუხედავად, რამდენიმე კომპონენტში აშკარად ვაჯობეთ, განსაკუთრებით კი ერთი-ერთზე თითქმის ყველა ორთაბრძოლაში გვქონდა უპირატესობა. თანაც სათადარიგოებში ოთხის ნაცვლად მხოლოდ ორი მორკინალი გვყავდა."

# ფოთის დღე ვერის ბალში

**გუშინ** ვერის ბალში პროფესიული კრივის დიდ-პატარა შეიკრიბა — გიორგი კანდელაკის საკრივო სკოლამ საქართველოს მეორე სარეიტინგო ბრძოლებს უმასპინძლა. ვინც კი პროფესიონალებში ტრიალებს, ყველა იქ იყო — ფედერაციის პრეზიდენტსა და აღმასრულებელი მდივნიდან დაწყებული, რიგითი მოკრივეებითა და მათი მწვრთნელებით დამთავრებული. სულ 9 სარეიტინგო ორთაბრძოლა გაიმართა, მაგრამ მაყურებელი იმდენი იყო, იცოცხლეთ, ორ ამხელა დარბაზს გასწვდებოდა.

პროფესიული კრივი ჩვენში ახლა იკიდებს ფეხს და თუ გუშინდელ ბრძოლებს კლასი აკლდა, სამაგიეროდ, ეშხისა და შეუპოვრობის ნაკლებობას ვერ დავწამებთ. ახალბედა პროფესიონალები ვაჟკაცურად ეკრივებოდნენ ერთმანეთს, თუმც მთელ ამ 9 სპარინგში ერთადერთი სუფთა ნოკაუტი დაფიქსირდა.

ფოთელმა გიორგი უნგიაძემ 69 კილოგრამიანთა ორთაბრძოლაში პირველივე რაუნდში დასცა თბილისელი ვაჟა ხავაზურაშვილი და მყისიერი გამარჯვება მოიპოვა.

საერთოდ, ფოთის საკრივო სკოლის წარმოდგენლებმა ოთხ ჯახში იმარჯვეს. 62-კილოიანმა გიორგი ქადარიამ და 66-იანმა დავით მაკარაძემ შესაბამისად სძლიეს დავით ტლაშაძესა და კობა კორძაიას. დღვისპირელმა კობა ქარქაშაძემ კი შთამბეჭდავ ორთაბრძოლაში ტექნიკური ნოკაუტით მოუგო ლევან გაბოშვილს (66).

ახლა თბილისელი გამარჯვებულებისაც ვთქვათ: ბექა საჯაიამ (54) მიხეილ გვირჯიშვილი ქულებით დაჯაბნა, გარი აბაჯიანმა (62) კი ბაჩო კვარაცხელიას სძლია.

58 კგ წონით კატეგორიაში გორელმა გიორგი კურტანიძემ თბილისელ რომან გეორქიანს მოუგო, ხოლო უმსუბუქესმა დედოფლისწყაროელმა კახა ტოკლიკიშვილმა (54) ომარ გურგენაშვილი დაამწუხრა.

ბოლო ბრძოლაში 72 წონოსნები — თბილისელი ვეფხია ჭილაია და ვარიანელი შალვა ჯომარდაშვილი შეიბნენ, რომელთა ჯახიც ყველაზე სანახაობრივი და გახსნილი გამოდგა. გვარიან ტყაპა-ტყუპში ვარიანელმა ქულებით იმარჯვა და მორიგი საკრივო დღეც ამით გასრულდა.

შემდეგი სარეიტინგო ბრძოლები გიორგი კანდელაკის საკრივო სკოლაში მომავალ კვირას, 21 მაისს გაიმართება.

**ირაკლი პერტაია**

# ჰატონის ძველი ტონი
## მე არავისი არ მეშინია!



AFP

**რიკი ჰატონი** ახალ, საშუალო წონაში გადასვლის მიუხედავად, კვლავაც დაუმარცხებელი რჩება. გუშინ, გამთენიისას, დიდი წვალებით, მაგრამ მაინც წაართვა WBA-ს ქამარი და ჩემპიონის სტატუსი ჰოლანდიელ ლუის კოლაცოს. თუმც უნდა ითქვას, რომ ამ ბრძოლისგან, უფრო კი „მკვლელად“ წოდებული ჰატონისგან, გაცილებით მეტს მოელოდნენ. ბევრი ვარაუდობდა, რომ ინგლისური კრივის მთავარი იმედი მორიგ შოუს მოაწყობდა და კოლაცოს მალევე ნოკაუტით მოუგებდა.

ჰატონს კი შოუსთვის არ სცხელოდა, ძალიან გაუჭირდა და გაჭირვებით მოიგო. ჰოლანდიელს ცოტა მეტი ფხა რომ გამოეჩინა, ბოსტონის დარბაზის ფიცარნაგს მის მაგივრად მანჩესტერელი „მკვლელი“ გაეცნობოდა ახლოდან. თუმც კოლაცომ თავის შანსი ვერ გამოიყენა, მსაჯებმა კი ერთხმად, მართალია, მცირე უპირატესობით — 115:112, 114:113 — მაგრამ მაინც გამარჯვება ჰატონს მიაკუთვნეს.

ბრძოლა პროგნოზების შესაბამისად დაიწყო — ჰატონმა მეტოქე მეთექვსმეტე წამზევე დააგდო. ამის შემდეგაც ინგლისელის უპირატესობა ეჭვს არ იწვევდა და კოლაცოც მუდმივი ზეწოლის ქვეშ იყო. მეექვსე-მეშვიდე რაუნდიდან მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეიცვალა. კარგად გამოჩნდა, რომ ჰატონმა აშკარად ვერ შეაფასა მეტოქე და ადრინდელი ნოკაუტის იმედით გავიდა რინგზე. ამიტომაც ბრძოლის მეორე ნახევრიდან უპირატესობას ჰოლანდიელი დაეუფლა და ყველაფერი მისი სცენარით წარიმართა. ჰატონი კი მეტად დაბნეული იყო, უმისამართოდ იქნევდა ხელებს და ხეირიანად თავის დაცვასაც ვერ ახერხებდა.

მიუხედავად ამისა, მსაჯებმა გამარჯვება მაინც ჰატონს მიაკუთვნეს. თუმც ბევრის აზრით, ეს მხოლოდ „მკვლელის“ პრომოუტერების ავტორიტეტის დამსახურებაა.

„მეტოქე იმაზე გაცილებით სერიოზული აღმოჩნდა, ვიდრე ველოდი. ვაღიარებ, რომ სათანადოდ ვერ შევაფასე. თუმც ჩემზე იმანაც იმოქმედა, რომ ამ წონაში პირველად გამოვდიოდი — შემდეგში აუცილებლად მოვუმატებ. ისე კი, მზად ვარ ნებისმიერთან ვიბრძოლო, მე არავისი არ მეშინია! არც კოლაცოს მატჩრევანშს გავექცევი, მას სრული უფლება აქვს, დღეს უკმაყოფილო იყოს. თუმც ამ ბრძოლის მოწყობა უკვე პრომოუტერთა საქმეა“ — განაცხადა ჰატონმა ბრძოლის შემდეგ.

მატჩ-რევანშს ითხოვს კოლაცოც: „ჰატონი მე-12 რაუნდში კინაღამ ნოკაუტში გავგზავნე და ბრძოლაც მე მიმყავდა, აშკარად ვჯობდი. ვფიქრობდი, რომ მოკრივე, რომელსაც ჩემს ქამარზე ექნებოდა პრეტენზია, ჰატონზე ძლიერი უნდა ყოფილიყო, მან კი გამარჯვება არანაირად არ დაიმსახურა. ამიტომაც მიმაჩნია, რომ მე კვლავაც ჩემპიონი ვარ, ჰატონი კი მხოლოდ პრეტენდენტია. მატჩრევანში აუცილებლად უნდა შედგეს.“

ასეა თუ ისე, რიკი ჰატონი კვლავაც დაუმარცხებელი რჩება — მას უკვე 41 მოგება აქვს აქტივში, რომელთაგან 30 ნოკაუტითაა მოპოვებული.

**კახა ლომაყშვილი**



# ლაურა მანაუდუმ კონსერვი გახსნა



სეულის ოლიმპიურ თამაშებზე ჯანეტ ევანსმა 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ქალებში მსოფლიოს რეკორდი დაამყარა, მაგრამ მაშინ რას იფიქრებდა ეს ამერიკელი, რომ ამ მიღწევას მთელი 18 წლის განმავლობაში ვერავინ გააუმჯობესებდა.

და აი, საფრანგეთის ჩემპიონატში ლაურა მანაუდუმ ჯანეტ ევანსის მაგრად დაკონსერვებული რეკორდი 0,82 წამით გააუმჯობესა — 4.03,03.



## 2006 NBA Playoffs

12-13 მაისი

### მეორე რაუნდი

#### აღმოსავლეთი

**დეტროიტი 2:1 კლივლენდი**

**კლივლენდი 86:77 დეტროიტი**

**კლივლენდი:** ჯეიმსი (21 ქულა, 10 მოხსნა, 10 პასი, 4 ჩაჭრა), ვარეშაო (16), მიურეი (13)
**დეტროიტი:** ჰამილტონი (22), ბილაფსი (20), რ. ვოლესი (11)

**მაიამი 2:1 ნიუ ჯერსი**

**ნიუ ჯერსი 92:103 მაიამი**

**ნიუ ჯერსი:** კარტერი (43), ჯეფერსონი (17), კიდი (10 ქულა, 12 პასი, 8 მოხსნა)
**მაიამი:** ვეიდი (30 ქულა, 10 პასი, 7 მოხსნა), ონილი (19), უოლკერი (16)

#### დასავლეთი

**სან ანტონიო 1:2 დალასი**

**დალასი 104:103 სან ანტონიო**

**დალასი:** ნოვიცკი (27 ქულა, 15 მოხსნა), პარისი (24), ტერი (19)
**სან ანტონიო:** დანკანი (35 ქულა, 12 მოხსნა), ჯინობილი (24), პარკერი (15)

**ფინიქსი 2:1 კლიპერსი**

**კლიპერსი 91:94 ფინიქსი**

**კლიპერსი:** ბრენდი (20 ქულა, 9 მოხსნა, 8 პასი, 5 დაფარება), რადმანოვიჩი (18), მობლი (14)
**ფინიქსი:** მარიონი (32 ქულა, 19 მოხსნა), ტ. ტომასი (18 ქულა, 14 მოხსნა), ბელი (14), ნეში (12 ქულა, 10 პასი)

*ცქიტიშვილი სათადარიგო იყო*



## პლეი ოფი 2006

12-13 მაისი

### მეორე რაუნდი

#### დასავლეთი

**სან ხოსე 2:2 ედმონტონი**

**ედმონტონი 6:3 სან ხოსე**

*1:2 2:1 3:0*

0:1 ჯ. ტორნტონი (4), 0:2 ეკმანი (7), 1:2 ჰორკოფი (13), 1:3 ჩიჩუ (30), 2:3 პეკა (33), 3:3 სამსონოვი (36), 4:3 სმიტი (43), ჰემსკი (49), 6:3 სტოლი (54)

#### აღმოსავლეთი

**ოტავა 1:4 ბუფალო**

**ოტავა 2:3 ბუფალო**

*1:1 1:1 0:0 0:1*

0:1 ტალინდერი (1), 1:1 ალფრედსონი (11), 1:2 დრური (28), 2:2 პოტიე (34), 2:3 პომინვილი (63)

**კაროლინა 3:1 ნიუ ჯერსი**

**ნიუ ჯერსი 5:1 კაროლინა**

*3:0 2:1 0:0*

1:0 გომესი (2), 2:0 პანდოლფო (12), 3:0 გომესი (19), 4:0 ბრილინი (21), 5:0 მედენი (25), 5:1 რეკი (32)



**კაცები. მასტერსი. რომი. თიხნარი. საპრიზო 2 450 000 $**

### ნახევარფინალი

**როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) — დავიდ ნალბანდიანი (4, არგენტინა) 6:3 3:6 7:6; **რაფაელ ნადალი** (2, ესპანეთი) — გაელ მონფილზი (საფრანგეთი) 6:2 6:2

### ფინალი

**ნადალი** — ფედერერი 6:7 7:6 6:4 2:6 7:6

**ქალები. ბერლინი. თიხნარი. საპრიზო 1 340 000 $**

### ნახევარფინალი

**ჟუსტინ ენენ-არდენი** (3, ბელგია) — ამელი მორესმო (1, საფრანგეთი) 6:1 6:2; **ნადია პეტროვა** (2, რუსეთი) — ნა ლი (ჩინეთი) 6:1 6:0

### ნახევარფინალი

**პეტროვა**— ენენ-არდენი 4:6 6:4 7:5



## მსოფლიოს ჩემპიონატი. მეოთხე ეტაპი

### ჩინეთის დიდი პრიზი. *შანხაი — 5,281 კმ*

**მოტო გრან პრი — 116,2 კმ**

1 დანიელ პედროსა (ესპანეთი, რეპსოლ ჰონდა) — 44 წთ; 07,7
2 ნიკი ჰეიდენი (აშშ, რეპსოლ ჰონდა) — ჩამორჩა 1,5
3 კოლინ ედვარდსი (აშშ, ქემელ იამაჰა) — 14,6

**საერთო ჩათვლა**

1 ჰეიდენი 72 ქულა; 2 ლორის კაპიროსი (იტალია, დუკატი მარლბორო) 59; 3 პედროსა 57; 4 მარკო მელანდრი (იტალია, ფორტუნა ჰონდა) 54; 5 კეისი სტოუნერი (ავსტრალია, ჰონდა) 52; 6 ვალენტინო როსი (იტალია, ქემელ იამაჰა) 40

**250 სმ³— 110,9 კმ**

1 ექტორ ბარბერა (ესპანეთი, ფორტუნა აპრილია) — 44 წთ; 49,4
2 ანდრეა დოვიზიოსო (იტალია, რეისინგ ჰონდა) — ჩამორჩა 0,3
3 ჰიროსი აოიამა (იაპონია, რედ ბულ KTM) — 3,3

**საერთო ჩათვლა**

1 დოვიზიოსო 72 ქულა; 2 ბარბერა 69; 3 ხორხე ლორენცო (ესპანეთი, ფორტუნა აპრილია) 63; 4 აოიამა 62; 5 რობერტო ლოკატელი (იტალია, ტოტი აპრილია) 47

**125 სმ³— 100,3 კმ**

1 მიკა კალიო (ფინეთი, რედ ბულ KTM) — 42 წთ; 06,2
2 მატია პასინი (იტალია, ასპარ აპრილია) — ჩამორჩა 0,1
3 ალვარო ბატისტა (ესპანეთი, ასპარ აპრილია) — 0,4

**საერთო ჩათვლა**

1 ბატისტა 86 ქულა; 2 კალიო 58; 3 ექტორ ფაუბელი (ესპანეთი, ასპარ აპრილია) 54; 4 პასინი 49; 5 სერხიო გადეა (ესპანეთი, ასპარ აპრილია) 46




AFP ფოტოები

# ჯასტინ გატლინი

# 9.76!

**ამერიკელი** სპრინტერი ჯასტინ გატლინი ბოლო წლების მსოფლიოს უსწრაფესი ადამიანია. ეს მან 100-მეტრიან დისტანციაზე ათენის ოლიმპიურ თამაშებზე გამარჯვებით და მსოფლიოს ჩემპიონატის ორი ოქროს მედლითაც დაამტკიცა, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ვერც იამაიკელი პაუელის მსოფლიოს რეკორდს (9,77) შესწვდა და ვერც მის წინამორბედ მონტგომერის ექსრეკორდს (9,78), რაც გატლინს მოსვენებას უკარგავდა.

და აი, დოხაში, ყატარის დიდი პრიზის გათამაშებაში 24 წლის ჯასტინ გატლინმა პლანეტის უსწრაფესი ადამიანის რეპუტაცია მსოფლიოს რეკორდითაც განიმტკიცა — 9,76!

„ახლა საუკეთესოთა შორის საუკეთესოდ ვგრძნობ თავს — ეუბნება ბიბისის კორესპონდენტს ჯასტინ გატლინი — ოღონდაც, ეს ჩემი საუკეთესო გარბენი სულაც არ იყო. ვიცი, რომ უფრო სწრაფად სირბილიც შემიძლია.“

ამერიკელმა სპრინტერმა ისიც თქვა, რომ ამ სარეკორდო გარბენის დასაწყისი საშინლად ცუდი მქონდა, ამიტომაც რეკორდის კიდევ გაუმჯობესება ძალიან მეიმედება და ეს შესაძლოა ევროპაში მოხდესო.

ამ სარეკორდო გარბენისას დაახლოებით შუა დისტანციამდე გატლინი და მისი თანამემამულე ტერენს ტრამელი მხარდამხარ მირბოდნენ. ფინიშამდე 40 მეტრით ადრე ჯასტინი წინ გავარდა და ფინიშის ხაზის გადაკვეთის მერე თვალებდახუჭული მუხლებზე დაემხო, მის რეკორდს კი ამერიკელთა ბანაკი დიდი ჟრიამულით შეხვდა.

აქვე შევახსენებთ ბოლო 10 წლის განმავლობაში 100 მეტრზე მსოფლიოს რეკორდების პროგრესს

9,84 — დონოვან ბეილი (1996)
9,79 — მორის გრინი (1999)
9,78 — ტიმ მონტგომერი (2002)
9,77 — ასაფა პაუელი (2005)
9,76 — ჯასტინ გატლინი (2006)

**ავთანდილ ჭყვიშელი**



ფორმულა 1. 57-ე მსოფლიო ჩემპიონატი   მეექვსე ეტაპი

# პირველად პირველი კაცისგან

## მეფის წყალობა ალონსოსაც შეხვდა

**შარშანდელ** ჩემპიონატში ფერნანდო ალონსოს ფანტასტიკური ტრიუმფის შემდეგ ესპანეთში გასაოცრად იმატა „სამეფო რბოლების“ პოპულარობამ.

ამიტომაც იყო, რომ „კატალუნია მონტმელოზე“ რამდენიმე თვის წინ დამატებითი, 12000-ადგილიანი ტრიბუნა ააგეს. გიგანტურ ავტოდრომზე ყველა ბილეთი რბოლამდე კარგა ხნით ადრე გაიყიდა. ასე რომ, გუშინ ესპანეთის დიდი პრიზის 36-ე გათამაშებას სარეკორდოდ ბევრი — 130 ათასი მაყურებელი დაესწრო.

ალონსომ პირველად გაიჯირითა სამშობლოში ჩემპიონის რანგში და, ბუნებრივია, გამორჩეულად მოტივირებული იყო თავის ურიცხვ ქომაგთა თვალწინ გამარჯვების მოსაპოვებლად.

ფავორიტებად სეზონის ლიდერი ფერნანდო და წინა ორი რბოლის მომგები მიხაელ შუმახერი ითვლებოდნენ. ცნობისთვის, „ნესვის მთის“ ტრეკზე ექვსჯერ შუმიმ იპირველა, თითოჯერ — ჟაკ ვილნევმა და კიმი რაიკონენმა.

ექსჩემპიონ ვილნევს დაწყებამდე გადაეწურა თუნდაც საპოდიუმე შანსი, რადგან მისი „BMW-ზაუბერის“ ძრავა ნიურბურგიდან წამოღების წინ ტრეილერში ჩატვირთვისას მექანიკოსებს ამწედან ჩამოუვარდათ და შესაცვლელი შეიქნა. კანადელი ამის გამო სტარტზე ათი საფეხურით ჩამოქვეითდა და რბოლის ბოლოდან დაწყება მოუხდა, რადგან კვალიფიკაციისას მხოლოდ მე-14 შედეგი აჩვენა. ვერც რაიკონენს ჰქონდა საზეიირო პოზიცია.

პოული ალონსომ მოიგო, მეთერთმეტედ კარიერაში და პირველად „მონტმელოზე“. მეორე დრო მისმა თანაგუნდელმა ჯანკარლო ფიზიკელამ აჩვენა. ფერარელები ძალიანაც ეცადნენ, მაგრამ უსწრაფეს რენოელებს ვერ აჯობეს და მეორე რიგში მოკალათდნენ.

მოსაწყენიო, ვერ ვიტყვით, თუმც საკმაოდ ერთფეროვანი რბოლა კი გამოვიდა. სტარტზე პირველ რიგში მდგომმა „ლურჯებმა“ ადვილად შეინარჩუნეს მეწინავეობა, „წითლები“ ფეხდაფეხ მიჰყვნენ.

ძალიან იყოჩაღა რაიკონენმა — დაძვრისთანავე გვერდი აუარა ჯენსონ ბატონს, მერე ოსტატურად გაძვრა ტოიოტელებს შორის და იქვე რუბენს ბარიკელოც მიაყოლა. ერთი სიტყვით, „ყინულის კაცმა“ დასაწყისშივე ოთხი პოზიციით გაიუმჯობესა ვითარება.

სასტარტო, რაც მთავარია, უავარიო მიწევ-მოწევის შემდეგ, როგორც ხდება ხოლმე, ქარავანი დამშვიდდა და დაწინაურებულ რვიანში — ალონსო, ფიზიკელა, მიხაელი, მასა, რაიკონენი, ბარიკელო, ბატონი, ტრული — პირველ პიტსტოპამდე არანაირი ცვლილება არ მომხდარა.

როგორც მოსალოდნელი იყო, შედარებით მცირე საწვავიანი ფერნანდო ქარივით მიქროდა და უკვე ხუთიოდ წრეში შუმი ექვსი წამით ჩამოიტოვა. ასე რომ, ფიზიკოს მხრიდან ზურგის გამყარება არც დასჭირვებია.

ჩემპიონმა ხუთჯერ უსწრაფესად შემოუქროლა 4,5-კილომეტრიან ტრეკს და დისტანციის მეოთხედის გავლის შემდეგ, მე-18 წრეზე მიაკითხა პირველად ბოქსებს, როცა თანარენოელს ათ წამს უგებდა, „წითელ ბარონს“ კი უკვე 13-ს. ნანდოს მომდევნო წრეზე ფიზიკელამ მიჰბაძა, ხოლო მიხაელმა საბოქსე მანიპულაცია ხუთი წრის შემდეგ შეასრულა, მაგრამ ალონსოს „რენოსთან“ ღირსეულად შესაბრძოლებლად დროის სასურველი მარაგის დაგროვება ვერ მოასწრო, თუმც გვიანი პიტსტოპის ხარჯზე გარკვეული სარგებელი მაინც ნახა — ტრასაზე ფიზიკელას ცხვირწინ დაბრუნდა.

ტოიოტელებმა, ჯიუტი თხებივით გზა ვერ გაიყვეს და ერთმანეთს ურქინეს, რამაც რალფ შუმახერი საბოლოოდ ბრძოლას გამოთიშა, იარნო ტრულიც ისევ უქულოდ დარჩა. უკვე სეზონის მესამედი გაილია, იარნო კი კვლავაც ნულზეა.

ლიდერთა ხუთეულში მიმდევრობა მეორე საბორბლე-საბენზინო შეყოვნების შემდეგაც არ შეცვლილა და ბრძოლას შემორჩენილები მშვიდად მიგორდნენ ფინიშამდე.

მშობლიურ ტრეკზე პირველი მოგებით ბავშვივით გახარებული ალონსო ლამის ამოხტა მანქანიდან საპატიო წრის შემოვლისას, პოდიუმზე კი ოდნავ დაწყნარდა და ღირსეულად ჩაიბარა ლამაზი თასი თვით ესპანეთის მეფე ხუან კარლოსის ხელიდან.

ეს ფერნანდოს ხუთწლიან კარიერაში მე-11 დიდი პრიზია. განსაცვიფრებელია მისი წლევანდელი სტაბილურობა — ექვს რბოლაში მხოლოდ პირველ-მეორე ადგილები დაიკავა, საერთოდ კი ზედიზედ მეთორმეტედაა საპრიზო სამეულში.

**გია ახალაძე**




AFP ფოტოები

ფერნანდო ალონსო თასით
მეფე ხუან კარლოსმა დააჯილდოვა

### რბოლის შედეგები

**ესპანეთის დიდი პრიზი**
**14 მაისი. ბარსელონა**
დისტანცია 66 წრე — 305,256 კმ

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | (1) | ალონსო (რენო) | 1:26.21,8 (212,1 კმ/სთ) |
| 2. | (3) | მ.შუმახერი (ფერარი) | ჩამორჩა 18,5 |
| 3. | (2) | ფიზიკელა (რენო) | 23,9 |
| 4. | (4) | მასა (ფერარი) | 29,9 |
| 5. | (9) | რაიკონენი (მაკლარენი) | 56,9 |
| 6. | (8) | ბატონი (ჰონდა) | 58,3 |
| 7. | (5) | ბარიკელო (ჰონდა) | 1 წრით |
| 8. | (10) | ჰაიდფელდი (BMW-ზაუბერი) | 1 წრით |
| 9. | (11) | ვებერი (უილიამსი) | 1 წრით |
| 10. | (7) | ტრული (ტოიოტა) | 1 წრით |
| 11. | (13) | როსბერგი (უილიამსი) | 1 წრით |
| 12. | (14) | ვილნევი (BMW-ზაუბერი) | 1 წრით |
| 13. | (15) | კლიენი (რედ ბული) | 1 წრით |
| 14. | (22) | კულჰარდი (რედ ბული) | 1 წრით |
| 15. | (16) | ლიუცი (ტორო როსო) | 1 წრით |
| 16. | (18) | მონტეირო (MF 1) | 3 წრით |
| 17. | (20) | სატო (სუპერ აგური) | 4 წრით |

რბოლას გამოეთიშნენ

| | | |
|---|---|---|
| (19) | ალბერსი (MF 1) | გაიარა 48 წრე |
| (17) | სპიდი (ტორო როსო) | 47 |
| (6) | რ.შუმახერი (ტოიოტა) | 31 |
| (12) | მონტოია (მაკლარენი) | 17 |
| (21) | მონტანი (სუპერ აგური) | 10 |

ფრჩხილებში — საკვალიფიკაციო ადგილი

**პოული**
ალონსო — 1.14,648 (223,1 კმ/სთ)

**საუკეთესო წრე**
მასა — 1.16,648 (217,3 კმ/სთ)

| | ბაჰრეინი 12 მარტი | მალაიზია 19 მარტი | ავსტრალია 2 აპრილი | სან მარინო 23 აპრილი | ევროპა 7 მაისი | ესპანეთი 14 მაისი | მონაკო 28 მაისი | დ.ბრიტანეთი 11 ივნისი | კანადა 25 ივნისი | აშშ 2 ივლისი | საფრანგეთი 16 ივლისი | გერმანია 30 ივლისი | უნგრეთი 6 აგვისტო | თურქეთი 27 აგვისტო | იტალია 10 სექტემბერი | ჩინეთი 1 ოქტომბერი | იაპონია 8 ოქტომბერი | ბრაზილია 22 ოქტომბერი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 **ალონსო** რენო, ესპანეთი | 10 | 8 | 10 | 8 | 8 | 10 | | | | | | | | | | | | | 54 |
| 2 **მ. შუმახერი** ფერარი, გერმანია | 8 | 3 | – | 10 | 10 | 8 | | | | | | | | | | | | | 39 |
| 3 **რაიკონენი** მაკლარენი, ფინეთი | 6 | – | 8 | 4 | 5 | 4 | | | | | | | | | | | | | 27 |
| 4 **ფიზიკელა** რენო, იტალია | – | 10 | 4 | 1 | 3 | 6 | | | | | | | | | | | | | 24 |
| 5 **მასა** ფერარი, ბრაზილია | – | 4 | – | 5 | 6 | 5 | | | | | | | | | | | | | 20 |
| 6 **ბატონი** ჰონდა, დ. ბრიტანეთი | 5 | 6 | – | 2 | – | 3 | | | | | | | | | | | | | 16 |
| 7 **მონტოია** მაკლარენი, კოლუმბია | 4 | 5 | – | 6 | – | – | | | | | | | | | | | | | 15 |
| 8 **ბარიკელო** ჰონდა, ბრაზილია | – | – | 2 | – | 4 | 2 | | | | | | | | | | | | | 8 |
| 9 **რ. შუმახერი** ტოიოტა, გერმანია | – | 1 | 6 | – | – | – | | | | | | | | | | | | | 7 |
| 10 **ვებერი** უილიამსი, ავსტრალია | 3 | – | – | 3 | – | – | | | | | | | | | | | | | 6 |

ვილნევი, ჰაიდფელდი — 6; როსბერგი — 4, კლიენი, კულჰარდი — 1 ქულა

■ პოულ-პოზიცია

**კონსტრუქტორთა თასი:** რენო — 78; ფერარი — 59; მაკლარენი — 42; ჰონდა — 24; BMW ზაუბერი — 12; უილიამსი — 10, ტოიოტა — 7, რედ ბული — 2 ქულა



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარზიელი და კროკი

## წარმოგიდგენთ


ეროვნული ბიბლიოთეკა

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. I ლიგა | | | | | | |
| | | 15 მაისი | | | | | | |
| 22:45 | 1 | პადერსფილდი-ბარნსლი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| | | ინგლისი. II ლიგა | | | | | | |
| | | 16 მაისი | | | | | | |
| 22:45 | 2 | გრიმსბი-ლინკოლნი | 2.10 | 3.00 | 3.20 | 1.23 | 1.26 | 1.54 |
| | | 18 მაისი | | | | | | |
| 22:45 | 3 | ჩელტენემი-უიკომბი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| | | რუსეთი | | | | | | |
| | | 15 მაისი | | | | | | |
| 13:00 | 66 | დინამო-სპარტაკი | 3.20 | 3.00 | 2.10 | 1.54 | 1.26 | 1.23 |
| | | შვედეთი. ალსვენსკა | | | | | | |
| | | 15 მაისი | | | | | | |
| 21:00 | 110 | კალმარი-ჰალმსტადი | 1.85 | 3.30 | 4.10 | 1.18 | 1.27 | 1.82 |
| | | შვედეთი. სუპერეტა | | | | | | |
| | | 15 მაისი | | | | | | |
| 21:00 | 111 | ატვიდაბერგი-იორებრო | 3.50 | 3.30 | 1.90 | 1.69 | 1.23 | 1.20 |
| | | 17 მაისი | | | | | | |
| 20:30 | 112 | სუნდსვალი-ტრელებორგი | 1.70 | 3.60 | 4.40 | 1.15 | 1.22 | 1.98 |
| | | ირლანდია | | | | | | |
| | | 15 მაისი | | | | | | |
| 23:00 | 129 | კორკი-შელბურნი | 2.15 | 3.10 | 2.90 | 1.26 | 1.23 | 1.49 |
| | | 16 მაისი | | | | | | |
| 22:45 | 130 | ბრეი-ლონგფორდი | 2.45 | 2.90 | 2.70 | 1.32 | 1.28 | 1.39 |
| | | ჩემპიონთა ლიგა | | | | | | |
| | | 17 მაისი | | | | | | |
| 22:45 | 163 | ბარსელონა-არსენალი | 2.00 | 3.10 | 3.75 | 1.21 | 1.30 | 1.69 |
| | | ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი ტულონში(20) | | | | | | |
| | | 15 მაისი | | | | | | |
| 20:00 | 189 | პორტუგალია(20)-არგენტინა(20) | 1.70 | 3.40 | 4.00 | 1.13 | 1.19 | 1.83 |
| 20:00 | 190 | ჩეხეთი(20)-ჩინეთი(20) | 2.05 | 3.10 | 3.00 | 1.23 | 1.21 | 1.52 |
| 16 მაისი | | | | | | | | |
| 20:00 | 191 | ჰოლანდია(20)-კოლუმბია(20) | 2.00 | 3.10 | 3.30 | 1.21 | 1.24 | 1.59 |
| 20:00 | 192 | საფრანგეთი(20)-მექსიკა(20) | 2.00 | 3.10 | 3.30 | 1.21 | 1.24 | 1.59 |
| | | ჩოგბურთი.კაცები.ჰამბურგი.თიხნარი | | | | | | |
| | | 15 მაისი | | | | | | |
| 13:00 | 300 | ფ გონსალესი-ტურსუნოვი | 1.05 | | 5.00 | | | |
| 13:00 | 301 | ხრბატი-ფ მაიერი | 1.30 | | 2.95 | | | |
| 13:00 | 302 | გროსჟანი-ჯინეფრი | 1.25 | | 3.00 | | | |
| 13:00 | 303 | ვოლანდრი-პასანსკი | 1.25 | | 3.00 | | | |
| 13:00 | 304 | ტალსინო-გრიფოსი | 1.25 | | 3.00 | | | |
| 13:00 | 305 | გაუდიო-ა მარტინი | 1.30 | | 3.00 | | | |
| 13:00 | 306 | ხორნა-მირნი | 1.55 | | 2.00 | | | |
| 13:00 | 307 | ბაგდატისი-შტეპანეკი | 1.80 | | 1.80 | | | |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10163 | ბარსელონა-არსენალი | 2.35 | 2.00 | 4.50 | 1.08 | 1.54 | 1.38 |

## 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11163 | ბარსელონა-არსენალი | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

12163 ბარსელონა-არსენალი ---------- 1.55 -------- 2.10

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

13163 ბარსელონა-არსენალი ---------- 1.50 -------- 1.90

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

14163 ბარსელონა-არსენალი ---------- 1.60 -------- 2.10

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15163 | ბარსელონა-არსენალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

16163 ბარსელონა-არსენალი ---------- 1.45 -------- 2.50

### გოლი:ლუწი-1ლუ კენტი-2. (0:0 ითვლება ლუწად)

17163 ბარსელონა-არსენალი ---------- 1.85 -------- 1.95

### თასის აღება

18163 ბარსელონა-არსენალი ---------- 1.45 -------- 2.45

## შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

### ფეხბურთი



ბენჰაკერი და იორკი

**ტრინიდადისა** და ტობაგოს მწვრთნელმა ლეო ბეენჰაკერმა მსოფლიოს ჩემპიონატზე წამსვლელი 23 დაასახელა. რჩეულთა შორის ვერ მოხვდა ენტონი რუჯიერი, რომელსაც ჰოლანდიელი თავკაცი დიდად აქებდა, მაგრამ ბოლოს თქვა, ნაკრები მისთვის ნაადრევიაო. მსოფლიოს ჩემპიონატზე ტრინიდადელები პირველ მატჩს 10 ივნისს შვედეთთან გამართავენ.

#### მეკარეები

კელვინ ჯეკი ---------- დანდი, შოტლანდია
კლეიტონ ინსი ---------- ქოვენტრი, ინგლისი
შაკა ჰისლოპი ---------- ვესტ ჰემი, ინგლისი

#### მცველები

დენის ლოურენსი ---------- რექსემი, უელსი
სიდ გრეი ---------- ფაინენშელი
მარვინ ენდრიუსი ---------- რეინჯერსი, შოტლანდია
ბრენტ სანჩო ---------- ჯილინგემი, ინგლისი
იან კოქსი ---------- ჯილინგემი, ინგლისი
ატიბა ჩარლზი ---------- კონექშენი
ავერი კონი ---------- ნიუ ინგლენდ რევოლუშენ, აშშ

#### ნახევარმცველები

სილვიო სპანი ---------- ანატაჩედი
კრის ბირჩალი ---------- პორტ ვეილი, ინგლისი
ორტის უაიტლი ---------- ფაინენშელი
ენტონი ვოლფი ---------- ჯაბლოტე
დენსინ ტეობალდი ---------- ფლოკირკი, შოტლანდია
კარლოს ედვარდსი ---------- ლუთონი, ინგლისი
დუაიტ იორკი ---------- სიდნეი, ავსტრალია
რასელ ლატაპი ---------- ფოლკირკი, შოტლანდია

#### თავდამსხმელები

სტერნ ჯონი ---------- ქოვენთრი, ინგლისი
კენვაინ ჯონსი ---------- საუთჰემპტონი, ინგლისი
კოლინ სამუელი ---------- დანდი იუნაიტედი, შოტლანდია
ჯეისონ სკოტლანდი ---------- სენტ ჯონსტონი, შოტლანდია
კორნელ გლენი ---------- ლოს-ანჯელეს გალაქსი, აშშ

*მექსიკის ნაკრების 23-ში ვერ მოხვდა კუაუტემოკ ბლანკო, რომლის შეყვანასაც მწვრთნელს ფანები სთხოვდნენ და ამის გამო ცოტა ხნის წინ საპროტესტო აქციაც მოაწყეს.*

#### მეკარეები

ოსვალდო სანჩესი ---------- გვადალახარა
ხოსე დე ხესუს კორონა ---------- ტეკოსი
გილიერმო ოჩოა ---------- ამერიკა

#### მცველები

ხოსე ანტონიო კასტრო ---------- ამერიკა
ანდრეს გუარდადო ---------- ატლასი
რაფაელ მარკესი ---------- ბარსელონა, ესპანეთი
მარიო მენდესი ---------- მონტერეი
რიკარდო ოსორიო ---------- კრუს ასული
ფრანსისკო ხავიერ როდრიგესი ---------- გვადალახარა
კარლოს სალსიდო ---------- გვადალახარა
კლაუდიო სუარესი ---------- ჩივასი, აშშ

#### ნახევარმცველები

ხესუს არელიანო ---------- მონტერეი
რაფაელ გარსია ---------- ატლასი
რამონ მორალესი ---------- გვადალახარა
ანტონიო ნელსონ სინია ---------- ტოლუკა
პაველ პარდო ---------- ამერიკა
ლუის პერესი ---------- მონტერეი
გონსალო პინედა ---------- გვადალახარა
ხერარდო ტორადო ---------- კრუს ასული

#### თავდამსხმელები

ჟარედ ბორგეტი ---------- ბოლტონი, ინგლისი
ომარ ბრავო ---------- გვადალახარა
ფრანსისკო ფონსეკა ---------- კრუს ასული
გილიერმო ფრანკო ---------- ვილიარეალი, ესპანეთი

# უძილო ღამის ნაკრები



ჟიული ზიდანს ვეღარ შეახტება

**მსოფლიოს** ჩემპიონატზე საფრანგეთის პირველი მეკარე ფაბიენ ბარტეზი იქნება და არა გრეგორი კუპე, რომელსაც აშკარად უკეთესი სეზონი ჰქონდა, ვიდრე მის მარსელელ კოლეგას. რაიმონ დომენეკმა გადაწყვიტა, რომ კარი მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონს, უფრო გამოცდილ ბარტეზს ანდოს, ვისაც ნაკრებში 77-ჯერ უთამაშია.

რაიმონ დომენეკის 23-ში ვერ მოხვდნენ ლუდოვიკ ჟიული, რობერ პირესი და ნიკოლა ანელკა. სამაგიეროდ, მწვრთნელმა პირველად უხმო უიგანელ პასკალ ჩიმბონდას და მარსელელ ფრანკ რიბერის, რომელიც საფრანგეთის წლის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად აღიარეს.

„ღამეები არ მეძინა ნერვიულობისგან და ზოგიერთი მოთამაშის ნაკრებსმიღმა დატოვება იოლი არ იყო ჩემთვის, მაგრამ ვფიქრობ, რომ სწორი არჩევანი გავაკეთე და ეს გუნდი ფინალამდე უნდა მივიდეს“ — განაცხადა დომენეკმა.

ფაბიენ ბარტეზმა კი გუშინწინ ბოლო მატჩი ითამაშა მარსელში და გუნდიდან წავიდა. 34 წლის მეკარე სად გააგრძელებს კარიერას, ჯერჯერობით უცნობია. შესაძლოა, ფეხბურთს თავი დაანებოს, ან მშობლიურ „ტულუზში“ დაბრუნდეს, სადაც კარიერა დაიწყო.

| | |
|---|---|
| **მეკარეები** | |
| ფაბიენ ბარტეზი | მარსელი |
| გრეგორი კუპე | ლიონი |
| მიკაელ ლანდრო | ნანტი |
| **მცველები** | |
| ერიკ აბიდალი | ლიონი |
| ჟან-ალენ ბუმსონგი | ნიუკასლი, ინგლისი |
| პასკალ ჩიმბონდა | უიგანი, ინგლისი |
| უილიამ გალასი | ჩელსი, ინგლისი |
| გაელ გივე | მონაკო |
| ვილი სანიოლი | ბაიერნი, გერმანია |
| მიკაელ სილვესტრი | მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი |
| ლილიან ტურამი | იუვენტუსი, იტალია |
| **ნახევარმცველები** | |
| ვიკაშ დორასო | პსჟ |
| ალიუ დიარა | ლანსი |
| კლოდ მაკელელე | ჩელსი, ინგლისი |
| ფლორენ მალუდა | ლიონი |
| პატრიკ ვიეირა | იუვენტუსი, იტალია |
| ზინედინ ზიდანი | რეალი, ესპანეთი |
| **თავდამსხმელები** | |
| ჯიბრილ სისე | ლივერპული, ინგლისი |
| ტიერი ანრი | არსენალი, ინგლისი |
| ფრანკ რიბერი | მარსელი |
| ლუის საა | მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი |
| დავიდ ტრეზეგე | იუვენტუსი, იტალია |
| სილვენ ვილტორდი | ლიონი |



მიკაელ ესიენი

# განა-ცხადი

**განელთა** სამსოფლიოჩემპიონატო 23-ში კვლავ მოხვდა სამუელ კუფური, რომელმაც ამ ზამთარს აფრიკის ეროვნებათა თასზე მხოლოდ ერთი მატჩი ითამაშა და დაშავდა. ნაკრებში არიან ჩელსელი მიკაელ ესიენი და უდინეზელი სულეი მუნტარიც. ორივე ფეხბურთელმა ეროვნებათა თასი ტრავმის გამო გამოტოვა. განელთა თავკაცმა რატომირ დუიკოვიჩმა პსვ-ს ნახევარმცველ ერიკ ადოსაც უხმო, რომელსაც ნაკრებში ბოლოს რვა წლის წინ უთამაშია.

| | |
|---|---|
| **მეკარეები** | |
| სემი აჯეი | აშდოდი, ისრაელი |
| რიჩარდ კინგსტონი | ანკარასფორი, თურქეთი |
| ჯორჯ ოვუ | აშანტი |
| **მცველები** | |
| ადოკაიე პაპოე | აშდოდი, ისრაელი |
| ჯონ პეინსტილი | ჰაპოელი, ისრაელი |
| ჯონ მენსაჰი | რენი; საფრანგეთი |
| ისა აჰმედი | რანდერსი, დანია |
| სამუელ კუფური | რომა, იტალია |
| ჰანს სარპეი | ვოლფსბურგი, გერმანია |
| დეინ კუაიე | ჰართსი, განა |
| ჰაბიბ მოჰამედი | კინგფაიზალი |
| შილა ილიასუ | ასანტე |
| **ნახევარმცველები** | |
| სტეფან აპია | ფენერბაჰჩე, თურქეთი |
| მიკაელ ესიენი | ჩელსი, ინგლისი |
| სულეი მუნტარი | უდინეზე, იტალია |
| ჰამინუ დრამანი | ცრვენა ზვეზდა, სერბეთი |
| ერიკ ადო | პსვ, ჰოლანდია |
| დერეკ ბოატენგი | აიკ, შვედეთი |
| ოტო ადო | მაინცი, გერმანია |
| **თავდამსხმელები** | |
| ასამოა გიანი | მოდენა, იტალია |
| მეტიუ ამოა | დორტმუნდი, გერმანია |
| რაზაკ პიმპონგი | კოპენჰაგენი, დანია |
| ალექს ტაჩიე-მენსა | სენტ გალენი, შვეიცარია |

# რვა გულდაწყვეტილი

**მარკო ვან ბასტენმა** სამუნდიალოდ 23 ფეხბურთელი დაასახელა. მწვრთნელს 28 კაცი ჰყავდა შეგულებული და გაცხრილვის შემდეგ ნაკრებში ვერ მოხვდნენ: კლარენს ზეედორფი, როი მაკაი, ედგარ დავიდსი, ჯორჯ ბოატენგი, რომეო კასტელენი, ნაიჯელ დე იონგი, ბარი ოპდამი და ახალგაზრდა აიაქსელი კლაას-იან ჰუნტელაარი, რომელიც ამ სეზონში ჰოლანდიის ჩემპიონატის ბომბარდირი გახდა.

| | |
|---|---|
| **მეკარეები** | |
| ედვინ ვან დერ სარი | მანჩესტერი, ინგლისი |
| მარტენ შტეკელენბურგი | აიაქსი |
| ჰენკ ტიმერი | ალკმაარი |
| **მცველები** | |
| ხალიდ ბულარუზი | ჰამბურგი, გერმანია |
| ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი | ბარსელონა, ესპანეთი |
| ტიმ დე კლერი | ალკმაარი |
| კიუ ჯალიენსი | ალკმაარი |
| იან კრომკამპი | ლივერპული, ინგლისი |
| იორის მატიისენი | ალკმაარი |
| ანდრე ოოიერი | პსვ |
| ჯონი ჰეიტინგა | აიაქსი |
| **ნახევარმცველები** | |
| მარკ ვან ბომელი | ბარსელონა, ესპანეთი |
| ფილიპ კოკუ | პსვ |
| დენი ლანძაატი | ალკმაარი |
| ჰედვიგეს მადურო | აიაქსი |
| უესლი სნეიდერი | აიაქსი |
| რაფაელ ვან დერ ვაარტი | ჰამბურგი, გერმანია |
| **თავდამსხმელები** | |
| რაიან ბაბელი | აიაქსი |
| დირკ კუიტი | ფეიენოორდი |
| რუუდ ვან ნისტელროოი | მანჩესტერი, ინგლისი |
| რობინ ვან პერსი | არსენალი, ინგლისი |
| არიენ რობენი | ჩელსი, ინგლისი |
| იან ვენეგოორ ოფ ჰესელინკი | პსვ |



ჰუნტელაარი

## ფეხბურთის რუკასთან



**ინგლისური** „ნიუკასლის“ მეკარე შეი გივენმა კლუბთან კონტრაქტი ხუთი წლით გააგრძელა. იგი „ჯორდებში“ 1997-ში მივიდა და უკვე ცხრა წელია გუნდის ძირითადი მეკარეა. გივენი კონტრაქტის დასრულებისას 35-ის იქნება.

**ესპანური** „სელტას“ მწვრთნელი ფერნანდო ვასკესი კლუბში კიდევ ერთი წლით დარჩება. ახალი კონტრაქტი მან უეფას თასზე გუნდის გაყვანის სანაცვლოდ მიიღო. „მოხარული ვარ შეთანხმებით — განაცხადა ვასკესმა — მსურს რომ მომავალ სეზონში „სევილიას“ გზა გავიაროთ“.

**გერმანულმა** „არმინიამ“ ბერლინის „ჰერტადან“ ტორბენ მარქსი შეიძინა. 25 წლის ნახევარმცველმა არმინიელებთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. მარქსს მთელი კარიერა „ჰერტაში“ აქვს გატარებული, მაგრამ ამჟამინდელ მწვრთნელ ფალკო გიოტცის ხელში სათადარიგო ფეხბურთელად იქცა.

**ინგლისური** „ბირმინგემის“ ფორვარდი კრის სატონი გუნდიდან წავიდა. 33 წლის ფეხბურთელი „სელტიკიდან“ „ბირმინგემში“ იანვარში, ექვსი თვით გადაბარგდა და პრემიერლიგის მეორე წრის 11 მატჩში მხოლოდ ერთი გოლი გაიტანა.

**ფრანგული** „ლიონის“ მცველმა კრისმა, რომლის ყიდვაც რამდენიმე ევრობობოლა გუნდს სურდა, კლუბთან კონტრაქტი 2010 წლამდე გააგრძელა, მოქმედი კონტრაქტი კი 2009 წელს უმთავრდებოდა.

**შოტლანდიურმა** „სელტიკმა“ „ჰიბერნიანის“ ფორვარდი დერეკ რიორდანი შეიძინა, რომელმაც ბოლო ორ სეზონში 43 გოლი გაიტანა და ამით მოხიბლა სელტიკელები.

**გერმანული** „ლევერკუზენის“ ბრაზილიელი მცველი ჟუანი კლუბში 2009 წლის 1 ივნისამდე დარჩება. ფეხბურთელი გერმანულ კლუბში 2002-ში გადავიდა და ამჟამინდელი კონტრაქტის ვადა მომდევნო წელს ეწურებოდა. შეგახსენებთ, რომ ჟუანი ბრაზილიის ნაკრების ძირითადი შემადგენლობის მოთამაშეა.

**ფრანგულმა** „ნანტმა“ „ცრვენა ზვეზდას“ მეკარე ვლადიმირ სტოიკოვიჩი იყიდა და სამწლიანი კონტრაქტი გაუფორმა. „ეს ჩემთვის წინ გადადგმული ნაბიჯია, და მჯერა, რომ „ნანტში“ კლასს უფრო ავიმაღლებ“ — განაცხადა სტოიკოვიჩმა. სერბი მეკარე ფრანგებს 2 მილიონი ევრო დაუჯდათ.

**პორტუგალიური** „ბენფიკას“ ნახევარმცველი ლორენ რობერი გლაზგოს „რეინჯერსში“ გადადის. მისი თქმით, თითქმის ყველაფერი გადაწყვეტილია. ფრანგი ლისაბონელთა რიგებში იანვარში „ნიუკასლიდან“ გადაბარგდა და, გავრცელებული ცნობით, პორტუგალიურ ლიგაში ყველაზე დიდი ჯამაგირი ჰქონდა — თვეში 190 ათასი ევრო.

## ინგლისი

I ლიგა. გადასასვლელი პლეი ოფი
საპასუხო მატჩი

ბრენტფორდი 0:2 სუონსი (1:1)

II ლიგა. გადასასვლელი პლეი ოფი
პირველი მატჩები

ლინკოლნი 0:1 გრიმსბი

უიკომბი 1:2 ჩელტენემი

## შოტლანდია

I დივიზიონი
გადასასვლელი პლეი ოფი
საპასუხო მატჩი

პიტერჰედი 1:2(პენ.2:4) პარტიკი (2:1)

II დივიზიონი
გადასასვლელი პლეი ოფი
საპასუხო მატჩი

ბერვიკი 2:1 ალოა (0:4)

ასოციაციის თასის ფინალი

ჰართსი 1:1დ.დ.(პენ.4:2, 1:1) გრეტნა
1:0 სკაჩელი (39), 1:1 მაკგაფი (76)

## ამხანაგური მატჩები

მექსიკა 2:1 კონგოს დრ

იაპონია 0:0 შოტლანდია

საუდის არაბეთი 1:0 ტოგო

პოლონეთი 4:0 ფარერები

## პორტუგალია

თასის ფინალი

პორტუ 1:0 სეტუბალი
1:0 ადრიანუ (40)

## ბელგია

თასის ფინალი

ვარეგემი 2:1 მუსკრონი
1:0 ლელეუ (11), 1:1 კუშტოვიცი (62), 2:1 მატისი (90)

## ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატი

მატჩი მესამე ადგილისთვის

ესპანეთი 1:1(პენ.3:2) გერმანია

ფინალი

ჩეხეთი 2:2(პენ.3:5) რუსეთი

## ავსტრია

მაქსბუნდესლიგა
XXXVII ტური

პაშინგი — აუსტრია 2:0; ადმირა — ზალცბურგი 0:3; ტიროლი — გრაცერი 1:3; რაპიდი — რიდი 6:0; შტურმი — მატერსბურგი 0:1

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აუსტრია | 36 | 19 | 10 | 7 | 51:33 | 67 |
| ზალცბურგი | 36 | 20 | 3 | 13 | 60:42 | 63 |
| პაშინგი | 36 | 16 | 10 | 10 | 43:32 | 58 |
| რიდი | 36 | 13 | 13 | 10 | 48:47 | 52 |
| რაპიდი | 36 | 13 | 10 | 13 | 51:41 | 49 |
| გრაცერი | 36 | 13 | 6 | 17 | 47:48 | 45 |
| მატერსბურგი | 36 | 12 | 8 | 16 | 40:54 | 44 |
| შტურმი | 36 | 10 | 12 | 14 | 44:51 | 42 |
| ტიროლი | 36 | 10 | 12 | 14 | 44:53 | 42 |
| ადმირა | 36 | 9 | 6 | 21 | 42:69 | 33 |

## საბერძნეთი

ეროვნული ლიგა. XXX ტური

ირაკლისი — კალითეა 3:2; ეგალეო — პანიონიოსი 0:3; ოფი — ლევადიაკოსი 2:0; ოლიმპიაკოსი — იონიკოსი 0:0; პაოკ — კალამარია 1:2; აეკ — ქსანთი 0:0; აკრატიტოსი — ატრომიტოსი 0:2; ლარისა — პანათინაიკოსი 0:3

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 30 | 23 | 1 | 6 | 63:23 | 70 |
| პანათინაიკოსი | 30 | 21 | 4 | 5 | 55:23 | 67 |
| აეკ | 30 | 21 | 4 | 5 | 42:20 | 67 |
| ირაკლისი | 30 | 15 | 6 | 9 | 39:31 | 51 |
| ქსანთი | 30 | 13 | 8 | 9 | 31:25 | 47 |
| პაოკ | 30 | 13 | 7 | 10 | 44:31 | 46 |
| ატრომიტოსი | 30 | 12 | 6 | 12 | 36:37 | 42 |
| ლარისა | 30 | 10 | 9 | 11 | 31:37 | 39 |
| კალამარია | 30 | 10 | 8 | 12 | 32:36 | 38 |
| ეგალეო | 30 | 8 | 9 | 13 | 23:41 | 33 |
| იონიკოსი | 30 | 6 | 14 | 10 | 35:40 | 32 |
| პანიონიოსი | 30 | 9 | 5 | 16 | 33:45 | 32 |
| ლევადიაკოსი | 30 | 8 | 7 | 15 | 24:36 | 31 |
| ოფი | 30 | 7 | 10 | 13 | 23:37 | 31 |
| კალითეა | 30 | 4 | 8 | 18 | 27:48 | 20 |
| აკრატიტოსი | 30 | 4 | 6 | 20 | 19:47 | 18 |

## რუსეთი

პრემიერლიგა. IX ტური

მოსკვა 0:1 ცსკა
0:1 ჟო (17)

შინიკი 0:1 სპარტაკი (ნ)
0:1 ლანკო (24)

ტომი 2:1 ლუჩ-ენერგია
1:0 დიომკინი (36), 2:0 კისელიოვი (47), 2:1 ტიხონოვეცკი (80)

ამკარი 1:0 როსტოვი
1:0 ზიაკი (79)

ტორპედო 1:4 ლოკომოტივი
1:0 დანიშევსკი (33), 1:1 ოკონორი (37), 1:2 ბილიალეტდინოვი (57), 1:3 ტრაორე (75), 1:4 ლოსკოვი (90პ)

სატურნი 1:1 კრილია
1:0 ჟედერი (82), 1:1 შოავა (90)

ზენიტი 1:0 რუბინი
1:0 დენისოვი (42)

დინამო — სპარტაკი (მ)
*დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 9 | 6 | 1 | 2 | 15:6 | 19 |
| რუბინი | 9 | 5 | 2 | 2 | 13:9 | 17 |
| ტომი | 9 | 5 | 2 | 2 | 10:7 | 17 |
| სპარტაკი ნ. | 9 | 4 | 3 | 2 | 12:10 | 15 |
| კრილია | 9 | 4 | 3 | 2 | 9:7 | 15 |
| ლოკომოტივი | 9 | 4 | 2 | 3 | 19:15 | 14 |
| სპარტაკი მ. | 8 | 3 | 4 | 1 | 15:11 | 13 |
| სატურნი | 9 | 2 | 6 | 1 | 8:4 | 12 |
| ზენიტი | 8 | 3 | 2 | 3 | 13:14 | 11 |
| მოსკვა | 9 | 3 | 2 | 4 | 8:13 | 11 |
| ამკარი | 9 | 2 | 4 | 3 | 5:8 | 10 |
| როსტოვი | 8 | 2 | 2 | 4 | 8:9 | 8 |
| ლუჩ-ენერგია | 9 | 2 | 2 | 5 | 9:12 | 8 |
| ტორპედო | 9 | 1 | 4 | 4 | 6:12 | 7 |
| შინიკი | 9 | 1 | 3 | 5 | 3:12 | 6 |
| დინამო | 8 | 1 | 2 | 5 | 6:10 | 5 |

## ჩეხეთი

გამბრინუს ლიგა
XXX ტური

ბლშანი — ზლინი 3:2; ბრნო — პრჟიბრამი 1:0; იჰლავა — სლავია 0:3; ლიბერეცი — ბოლესლავი 2:3; ბანიკი — სიგმა 4:1; სლოვაცკო — იაბლონეცი 1:0; სპარტა — პლზენი 1:3; ტეპლიცე — მოსტი 4:3

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიბერეცი | 30 | 16 | 11 | 3 | 43:22 | 59 |
| სლავია | 30 | 15 | 9 | 6 | 56:34 | 54 |
| ბოლესლავი | 30 | 16 | 6 | 8 | 50:36 | 54 |
| ტეპლიცე | 30 | 12 | 16 | 2 | 38:24 | 52 |
| სპარტა | 30 | 13 | 6 | 11 | 43:39 | 45 |
| ბანიკი | 30 | 10 | 10 | 10 | 35:32 | 40 |
| სლოვაცკო | 30 | 9 | 11 | 10 | 29:28 | 38 |
| იაბლონეცი | 30 | 10 | 7 | 13 | 35:39 | 37 |
| სიგმა | 30 | 10 | 7 | 13 | 34:44 | 37 |
| მოსტი | 30 | 10 | 6 | 14 | 34:41 | 36 |
| ბრნო | 30 | 7 | 14 | 9 | 35:36 | 35 |
| ზლინი | 30 | 8 | 11 | 11 | 27:33 | 35 |
| პრჟიბრამი | 30 | 8 | 10 | 12 | 36:36 | 34 |
| პლზენი | 30 | 7 | 10 | 13 | 30:43 | 31 |
| იჰლავა | 30 | 6 | 11 | 13 | 20:36 | 29 |
| ბლშანი | 30 | 5 | 11 | 14 | 22:44 | 26 |

## თურქეთი

სუპერლიგა. XXXIV ტური

მანისა — ქონია 0:0; სივა — ანკარაგიუჯიუ 3:1; დენიზლი — ფენერბაჰჩე 1:1; ერჯიესი — ანკარა 0:1; გალათასარაი — ქაისერი 3:0; გაზიანთეფი — მალათია 1:0; გენჩლერი — რიზე 1:3; სამსუნი — დიარბაქირი 1:0; ტრაბზონი — ბეშიქთაში 1:2

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 34 | 26 | 5 | 3 | 82:34 | 83 |
| ფენერბაჰჩე | 34 | 25 | 6 | 3 | 90:34 | 81 |
| ბეშიქთაში | 34 | 15 | 9 | 10 | 52:39 | 54 |
| ტრაბზონი | 34 | 15 | 7 | 12 | 51:42 | 52 |
| ქაისერი | 34 | 15 | 6 | 13 | 59:42 | 51 |
| გენჩლერი | 34 | 14 | 9 | 11 | 47:39 | 51 |
| ქონია | 34 | 12 | 10 | 12 | 39:44 | 46 |
| სივა | 34 | 10 | 13 | 11 | 34:44 | 43 |
| რიზე | 34 | 10 | 11 | 13 | 35:44 | 41 |
| მანისა | 34 | 11 | 7 | 16 | 52:61 | 40 |
| ერჯიესი | 34 | 9 | 13 | 12 | 36:47 | 40 |
| გაზიანთეფი | 34 | 10 | 10 | 14 | 34:50 | 40 |
| ანკარაგიუჯიუ | 34 | 10 | 9 | 15 | 44:48 | 39 |
| ანკარა | 34 | 9 | 12 | 13 | 44:51 | 39 |
| დენიზლი | 34 | 9 | 10 | 15 | 41:50 | 37 |
| მალათია | 34 | 9 | 9 | 16 | 34:50 | 36 |
| სამსუნი | 34 | 9 | 9 | 16 | 45:62 | 36 |
| დიარბაქირი | 34 | 8 | 5 | 21 | 31:69 | 29 |

# მთვრალი ხოსე და ერთი ადგილის თამაში უფლისწულის თვალწინ

## ინგლისი

ასოციაციის თასის ფინალი

**ლივერპული 3:3დ.დ. (პენ.3:1, 3:3) ვესტ ჰემი**
0:1 კარაგერი (21ს.კ.), 0:2 ეშტონი (28), 1:2 სისე (32), 2:2 ჯერარდი (54), 2:3 კონჩესკი (64), 3:3 ჯერარდი (90)
**ლივერპული:** რეინა, ფინანი, კარაგერი, ჰიიპია, რიისე, ჯერარდი, ალონსო (კრომკამპი 67), სისოკო, კიუელი (მორიენტესი 48), სისე, კრაუჩი (ჰამანი 71)
**მწვრთნელი:** რაფაელ ბენიტესი
**ვესტ ჰემი:** ჰისლოპი, სკალონი, ე. ფერდინანდი, გაბიდონი, კონჩესკი, ბენაიუნი, ფლეტჩერი (დეილი 77), რეოკერი, ეზერინგტონი (შერინგემი 85), ეშტონი (ზამორა 71), ჰერვუდი
**მწვრთნელი:** ალან პერდიუ
**გაფრთხილება:** კარაგერი, ჰამანი, ეშტონი
**მსაჯი:** ვაილი
**74 000 მაყურებელი**


ხოსე რეინა

**„ლივერპულმა“** პენალტების სერიაში აჯობა „ვესტ ჰემს“ და ასოციაციის თასს დაეუფლა. ეს იყო მსოფლიოს უძველესი შეჯიბრის 125-ე ფინალი და ისეთი გამოვიდა, რომ მნახველს არასოდეს დაავიწყდება.

კარდიფის გადაჭედილ „მილენიუმზე“, მზიან ამინდში, მსაჯ ალან ვაილის ბრწყინვალე მსაჯობით და ორივე გუნდის უაღრესად ჯენტლმენური თამაშით, რომელშიც ექვსი გოლი გავიდა, ასოციაციის თასმა კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი განუმეორებლობა და უკვდავობა.

საკუთრივ თამაში იმგვარი იყო, რომ „ვესტ ჰემს“ უნდა მოეგო, დამატებით დროშიც კი, მაგრამ მოიგო „ლივერპულმა“, ხოლო ფეხბურთელები იმგვარად დაიქანცნენ, რომ დაშავებულთაგან მხოლოდ დინ ეშტონის შეცვლა მოესწრო: ვერც სისე, ვერც ჯერარდი, ვერც მარვინ ჰერვუდი და ვერც სხვები, ვინაც თამაშს კოჭლობით აგრძელებდნენ, მოედნიდან ვერ გავიდოდნენ.

თამაში რომ „ვესტ ჰემს“ მოეგო, საუკეთესოდ ალბათ ვესტჰემელ ბენაიუნის დაასახელებდნენ, მაგრამ თამაში ფრედ დასრულდა და მისი საუკეთესო ფეხბურთელი სტივ ჯერარდი იყო, რომელმაც „ლივერპულის“ სამივე გოლი მოახერხა. მოახერხა კი არა, ორი თავად გაიტანა, პირველი კი წაწოლილ სისეს ფეხზე დაასვა.

მაგრამ „ლივერპულის“ გოლებამდე ჯერ შორი იყო: მატჩის დასაწყისშივე, მახვილგონივრულ ლონდონურ კომბინაციას და კარისწინ გაჭრილ ბურთს ჯეიმი კარაგერის ავტოგოლი მოჰყვა. სულ მალე კი მეკარე ხოსე რეინას ბურთი ხელიდან გაუვარდა და ეშტონმა სხვაობა ორამდე გაზარდა.

„ლივერპულმა“ ამის შემდეგლა შეძლო გონს მოსვლა და შესვენებაზე სისეს ერთი საპასუხოთი გავიდნენ. „ლივერპულის“ ნაქები დაცვა „მილენიუმზე“ წამხდარი ჩანდა: მძიმე ევებ ისიც იყო, რომ გუნდი სეზონის 64-ე თამაშს ატარებდა, მეკარე კი მთვრალივით ირჯებოდა. მან ერთხელ კი გადაარჩინა გუნდი, მაგრამ გოლები სრულად მის კისერზე იყო.

მეორე ტაიმის მეცხრე წუთზე ჯერარდმა ძირსდაუშვებელი ბურთით ანგარიშით გაათანაბრა, მაგრამ „ვესტ ჰემი“ არ წამხდარა და არც რამე დატყობია, უტევდა და ორი ნახევარშანსიც ჰქონდა. მერე იყო და პოლ კონჩესკიმ მარცხენა ფრთიდან ბურთი კარგად ჩაკიდა და დინ ეშტონიც თავურს ეშურებოდა, მაგრამ ბურთი კოხტად წავიდა კარისკენ, წინ გამოსულ რეინას თავზე გადააფრინდა და „ვესტ ჰემი“ კვლავ დაწინაურდა.

ალან პერდიუს გუნდს თასი თითქმის ხელში ეჭირა. იყო 91-ე წუთი, როცა სისემ ტრავმა მიიღო და ვესტჰემელებმა ბურთი ჯენტლმენურად გადააგდეს აუტში, ლივერპულელებმა დაუბრუნეს, ვესტჰემელებმა კი შორს მოიგერიეს. იქიდან ბურთი საჯარიმოში ჩამოვარდა, ისევ უკან გადავარდა და უეცრად საიდანღაც გამოფრინდა სტივ ჯერარდი, რომელმაც ისარივით ჩააჭედა ბურთი მეკარისგან მარჯვენა მაღალ კუთხეში. კარამდე 25 მეტრი მაინც იქნებოდა.

მერე დამატებითი დრო იყო და მის ბოლო წუთზე ხოზე რეინამ იხსნა გუნდი: ბურთს მისწვდა და იმდენი მოახერხა, რომ ძელს მიაგდო, გადმოვარდნილი კი ცარიელ კარში ვერ შეაგდო ფეხმტკივანმა ჰერვუდმა და თამაშის მთავარი ხელმარცხიანი რეინა გმირად იქცა. ესპანელმა სამი პენალტი აიღო.

ვესტჰემელთაგან მხოლოდ ტედი შერინგემმა შეაგდო. იქამდეც ცნობილი იყო, რომ რეინა პენალტების 35 პროცენტს იღებს.

ალან პერდიუმ ქურთუკი გაიხადა და „ვესტ ჰემის“ აცრემლებულ ფანებს აუგდო, რაფა ბენიტესმა კი ლონდონელები აქო: „ვიცოდით, გამტანები იყვნენ, დღეს ორივე გუნდი კარგი იყო“.

ჯერარდმა კი თავის გადამრჩენ ჯადოგოლზე თქვა, პატიოსნად მოგახსენებთ, არც დამიმიზნებიაო.

თასი კი მოგებულებს უფლისწულმა უილიამმა გადასცა. ესპანელებმა თავიანთი დროშები შემოიხვიეს, სისემ კი აფრიკული გავის თამაშით წაუცეკვა ტახტის მემკვიდრის წინაშე.

„ვესტ ჰემი“ მართლა ცოდო იყო, მაგრამ რას იზამ? ფეხბურთი ასეთია, მით უმეტეს თასის ფინალში. ეს ყველაფერი შარშანდელი ჩემპიონთა ლიგის ფინალსაც ჩამოჰგავდა: რაფა ბენიტესი ხომ თასების ოსტატია.

სტივენ ჯერარდს კი ხუთ. რაგინდარა თასის ფინალში უთამაშია ცხოვრებაში და უგოლოდ მინდორი არ დაუტოვებია.

**ირაკლი გამყრელიძე**
***ლონდონიდან***


სისე ასე ერთობოდა

# დაცინვისა და გოლების ოსტატი

**გასულ** ხუთშაბათს გადაჭედილმა „სენტ ჯეიმს პარკმა“ გააცილა ალან შირერი: გუნდის კაპიტანი, გუნდის ლიდერი, გუნდის სიმბოლო, ნიუკასლელთა ყველაზე საყვარელი ფეხბურთელი.

გამოსათხოვარი თამაშის მთელი შემოსავალი, რომელიც ფეხბურთელს უნდა დარჩენოდა, შირერმა ქველმოქმედებისთვის გადადო.

მეტოქედ „სელტიკი“ იყო, რომელიც „ჯორდებმა“ შირერისავე გოლით დაამარცხეს. ოღონდ, ალანს არ უთამაშია: როდესაც პენალტი დაინიშა, მოედანზე გამოვიდა, დაარტყა, გაიტანა და აღმართული ხელით გაქანდა კარსუკანა ტრიბუნისკენ, ისე როგორც მგონი სამასჯერ უქნია ცხოვრებაში.

მერე შირა ისევ გავიდა.

ის მოედნიდან გავიდა ისე, როგორც ნამდვილ მებრძოლს შეეფერება: კოჭლობით. იმიტომ, რომ კოჭლობითვე გამოვიდა: პრემიერლიგის დასრულებამდე სამი ტურით ადრე ტრავმა მიიღო და გამოსათხოვარი სეზონი უგემურად შეწყვიტა.

ფეხბურთელების ცხოვრება ხომ ასეთია.

და ვიკითხოთ, ვინ იყო ალან შირერი?

ბოლო ათი წლის განმავლობაში ეს კაცი განასახიერებდა ძველ ინგლისურ ფეხბურთს. ის ასევე განასახიერებდა მშობლიური ადგილისადმი გამორჩეულ სიყვარულს. ტომით ნიუკასლელმა თავისი კარიერის გარდამტეხ ეტაპზე „მანჩესტერში“ გადასვლას მშობილურ ქალაქში მისვლა არჩია და აქ ათი საფეხბურთო წელიწადი გაატარა.

სერ ალექს ფერგიუსონი ისე არ



ალან შირერის ბოლო გოლი კარიერაში

შეხვდება შირას, რომ არ წამოაძახოს: ეგ რა ქენი? როგორ არ გადმოხვედი ჩემთან?

ალან შირერის ერთადერთი საკარიერო ტიტული „ბლექბერნთან“ ერთად პრემიერლიგის გარიჟრაჟზე მოპოვებული ჩემპიონობაა. მაგრამ მისთვის ეს არაფერს ნიშნავს, იმიტომ, რომ ნამდვილი ფეხბურთელი იყო: თავის დროზე ტომ ფინეილიმაც მთელი კარიერა დაბალ ლიგაში გაატარა. სტენლი მეტიუზიც „ბლეკპულსა“ და “სტოკში“ თამაშობდა... ჰოდა შირერიც ამას განასახიერებს.

მეტოქეებს სძულდათ ალანი: თამაშის მანერის, გამოწეული იდაყვის, ხმადაბალი, შეუმჩნეველი გინებისთვის, რაც ჯენტლმენის იერს უნარჩუნებდა. მაგრამ მეტოქეებივე აღიარებდნენ, რომ ის სრულიად საოცარი ფეხბურთელი იყო.

„ნიუკასლში“ შირერი ნამდვილ მეფედ ითვლებოდა. კლუბი უშვებდა მაისურებს, რომელსაც ცხრა ნომრის თავზე, გვარის ნაცვლად სიტყვა ღმერთი ეწერა. ტრავმებით ტანჯული შირა ყოველთვის ბრუნდებოდა და გაჰქონდა და გაჰქონდა.

ყველაზე მაგარი ის იმ წელს იყო, როცა ევროპის საუკეთესო ფეხბურთელობა ჟორჟ ვეას მისცეს და ამბობდნენ, იურგენ კლინსმანს ეკუთვნოდაო. თუმცა, ესეც პირობითია. შირერი, თმაგაცვენილი და ფეხდალეწილი გამოდიოდა და გაჰქონდა. „ნიუკასლში“ იქაური ლეგენდის ჯეკი მილბერნის საკლუბო რეკორდი დაამხო და თქვა, ესეც მეყოფაო. ნაკრებიდან ადრე წავიდა, სხვების დროაო.

მეგობრებმა კი იციან, რომ ერთი ხუმარა ვინმეა, ოხრული ჯორდული სიტყვა-პასუხით: გათამაშების და დაცინვის ოსტატი მოედანზე სერიოზული სახით დააბიჯებდა.

იმავე სერ ალექსს რომ დავესვესხოთ: სადღა ნახავ ნამდვილ ინგლისელ ცენტრფორვარდს?

იმ სტილში თამაში, როგორსაც შირერი მისდევდა, ბოლო დროს მართლაც ძნელი იყო. როცა გუნდში ტიერი ანრი და მისი ყაიდის მეგოლეები არიან, მხარბეჭიანი „ჯორდი“ ცოტა ძნელი მისაღებია თვალისთვის. მაგრამ ის ისე თამაშობდა, რომ ეგონათ, არასოდეს წავიდოდა.



შირერი შვილებთან

ერთი წლით გრემ სუნესის ხათრით დარჩა. „ნიუკასლის“ ყველა მწვრთნელს ესმოდა: შირერის გარეშე გუნდი არ არსებობს. მხოლოდ რუუდ გულიტმა მოიძულა: ეგოისტი მოთამაშე უწოდა, თავის გოლებზე ფიქრობსო და სკამზე დასვა. გულიტი დიადი ფეხბურთელი იყო, ალბათ, შირერის ნიუკასლურმა ღმერთკაცობამ დააბნია. თვითონ მსგავსი არასოდეს განეცადა და ენახა. სკამზე დასვა და მეორე დღეს მოხსნეს.

შირა ურყევი იყო ჯორდების მხარეში.

და სიმართლე ითქვას, არა მარტო იქ: ყველგან და ყოველთვის.

იმიტომ, რომ ის იყო შირა, კაცი, რომელიც ლაზათიან, უბრალო, ჟინით სავსე ფეხბურთს განასახიერებდა.

საერთოდ კი წინა კვირა წასვლებისა გამოვიდა. „ოლდ ტრეფორდმაც“ გამოსათხოვარი მოუწყო როი კინს შირამდე ორი დღით ადრე და მეტოქედ „სელტიკი“ იყო. კინომ ცალ-ცალი ტაიმი ითამაშა ორივე გუნდში. „ოლდ ტრეფორდმა“ იტირა, სერ ალექსმა კი თქვა, ასეთ ფეხბურთელს ჩემს გუნდში არასოდეს უთამაშიო. ორ დღეში კი დაითხოვა და... მაგრამ როცა მარადისობას უერთდები, ჭორ-კინკლაობები აღარავის ახსოვს.

აკი თქვა იმ საოცარმა კაცმა და ფეხბურთელმა, ჯორჯ ბესტმა: „წლები გავა და მთელი ეს სისულელე, ჩემი ლოთობა და თავგადასავლები აღარავის ემახსოვრება. სამაგიეროდ, ჩემი ფეხბურთი სამუდამოდ დარჩება. ჩემთვის ესეც საკმარისია.“

**ირაკლი გამყრელიძე**

*ლონდონიდან*

## პოლონეთი

I ლიგა. XXX ტური

არკა — პოლონია 0:1; ბელხატოვი — ამიკა 1:2; კრაკოვია — ზაგლებე 0:0; გროცლინი — კორონა 0:3; ლეჩნა — გურნიკი 1:0; ოდრა — პლოცკი 1:0; პოგონი — ლეხი 0:0; ლეგია — ვისლა 1:2

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლეგია | 30 | 20 | 6 | 4 | 47:17 | 66 |
| ვისლა | 30 | 19 | 7 | 4 | 50:20 | 64 |
| ამიკა | 30 | 14 | 7 | 9 | 50:28 | 49 |
| ზაგლებე | 30 | 14 | 7 | 9 | 45:32 | 49 |
| კორონა | 30 | 12 | 11 | 7 | 46:33 | 47 |
| ლეხი | 30 | 11 | 9 | 10 | 45:45 | 42 |
| ოდრა | 30 | 10 | 10 | 10 | 23:27 | 40 |
| ბელხატოვი | 30 | 9 | 10 | 11 | 30:32 | 37 |
| პოგონი | 30 | 9 | 10 | 11 | 29:34 | 37 |
| გროცლინი | 30 | 10 | 7 | 13 | 37:45 | 37 |
| კრაკოვია | 30 | 10 | 7 | 13 | 32:44 | 37 |
| პლოცკი | 30 | 10 | 4 | 16 | 30:45 | 34 |
| ლეჩნა | 30 | 7 | 12 | 11 | 23:31 | 33 |
| გურნიკი | 30 | 8 | 5 | 17 | 29:46 | 29 |
| არკა | 30 | 4 | 15 | 11 | 21:33 | 27 |
| პოლონია | 30 | 6 | 7 | 17 | 20:45 | 25 |

## ფინეთი

ვეიკაუსლიგა. V ტური

მარიეჰამნი 2:1 ჰაკა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტამპერე | 4 | 4 | 0 | 0 | 8:2 | 12 |
| ჰონკა | 4 | 4 | 0 | 0 | 9:4 | 12 |
| მარიეჰამნი | 4 | 2 | 1 | 1 | 8:6 | 7 |
| კტპ | 4 | 2 | 1 | 1 | 5:3 | 7 |
| ინტერი | 4 | 1 | 2 | 1 | 4:4 | 5 |
| ჰაკა | 5 | 1 | 2 | 2 | 2:3 | 5 |
| ლაჰტი | 4 | 1 | 1 | 2 | 2:4 | 4 |
| ტურკუ | 4 | 1 | 1 | 2 | 5:8 | 4 |
| მიუპა | 3 | 1 | 0 | 2 | 2:3 | 3 |
| ჰიკ | 3 | 1 | 0 | 2 | 2:3 | 3 |
| კუოპიო | 3 | 0 | 2 | 1 | 1:2 | 2 |
| იარო | 3 | 0 | 1 | 2 | 3:6 | 1 |
| ვაასა | 3 | 0 | 1 | 2 | 3:6 | 1 |

## ჰოლანდია

ერედივიზიონი

ინტერტოტოს თასის

პლეი ოფი

საპასუხო მატჩი

ტვენტე 2:0 ვიტესი (1:1)

## შვედეთი

ალსვენსკა. IX ტური

აიკ — გაის 2:0; გეფლე — ჰამარბი 0:1; ჰეკენი — იორგრიტე 2:2; გიოტებორგი — მალმიო 1:0; იოსტერსი — იურგორდენი 0:3; ელფსბორგი — ჰელსინგბორგი 0:0. კალმარი — ჰალმსტადი დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰამარბი | 9 | 6 | 2 | 1 | 17:10 | 20 |
| აიკ | 9 | 5 | 3 | 1 | 17:9 | 18 |
| ელფსბორგი | 9 | 4 | 4 | 1 | 13:9 | 16 |
| გიოტებორგი | 9 | 4 | 3 | 2 | 12:8 | 15 |
| მალმიო | 9 | 4 | 3 | 2 | 11:8 | 15 |
| იურგორდენი | 9 | 4 | 3 | 2 | 10:7 | 15 |
| გეფლე | 9 | 3 | 3 | 3 | 8:11 | 12 |
| კალმარი | 8 | 3 | 2 | 3 | 10:7 | 11 |
